ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 30 აპრილი, 2020 №96 (8360) ფასი: 60 თეთრი

ნასვამმა დავით ცინარიძემ მეუღლე მ.ბ.-ს სცემა, მოკვლით დაემუქრა და ესროლა

გვ.5

საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსს ბრალი წაუყენეს

გიგლა ბარამიძე: „ქართულ ოცნებას“ საგანგებო მდგომარეობა გაუტკბა“

ექიმები თავის გამოსვლებში უნდა იყვნენ ზომიერები და არ უნდა დაემსგავსონ ხელისუფლების პრესსპიკერებს. მთავრობა კი, როცა გაუჭირდება, ექიმებს არ უნდა ამოეფაროს

გვ.3

„სააკაშვილი „ქართული ოცნების“ თავის ტკივილია, პრობლემებს შეუქმნის“

გვ.4

რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი არ იყო ზელენსკის კანდიდატურა“

დავით ჭიჭინაძე: „ჯიბე“ მონოპოლისტად გადააქციეს და ის მალე ალბათ „ოცნების“ სპონსორი გახდება“

გვ.2



გვ.3

„ნათია თურნავა ფინანსური ჯგუფების მსახურია“

თორნიკე შარაშენიძე: „ივანიშვილი იმიტომ არ ჩანს, რომ გახარია კრიზისს კარგად უმკლავდება“

გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი ახლაც რუსული პროექტია“

„მერაბიშვილი არის რუსეთის დაზვერვის თანამშრომელი“

გვ.4

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 87 ფაქტი გამოავლინა

გვ.5

ISSN 1987-9385

5 „მამა დავით კობაიძე მამა საბასთვის სროლას ფიზიკურად ვერ მოასწრებდა“

2 ვინ მიიღებს 6 თვის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ დახმარებას

4 მსოფლიო ბანკმა საქართველოს 80 მილიონი დოლარი გამოუყო

6 ტრამპი: „პანდემიის ყველაზე ცუდი დღეები გადავიარეთ“

„ნათია თურნავა ფინანსური ჯგუფების მსახურია“

იაგო ნაცვლიშვილი

საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი სოციალური პაკეტების თაობაზე სულ უფრო მეტი კითხვა ჩნდება. გაურკვეველია კრიტერიუმები და ბევრი ადამიანისთვის ბუნდოვანი რჩება — მიიღებს თუ არა რაიმე სახის დახმარებას. პოლიტიკოსებისა და საზოგადოების ერთი ნაწილი კი კორუფციის რისკზეც ალაპარაკდა.
პასუხობს თუ არა არსებულ გამოწვევებს „ოცნების“ გეგმა, ვისი ინტერესები იკვეთება და რა ნაწილში ჩნდება კორუფციის რისკი? — ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე საუბრობს.

– პასუხობს თუ არა „ოცნების“ სოციალური პაკეტები არსებულ გამოწვევებს და თუ მიგაჩნიათ, რომ ეს პაკეტები გამიზნულია არჩევნების მოგებისთვის?

– რასაც გასცემენ, კარგია და რაც მეტს გასცემენ, მით უკეთესია და ეს ცოტა ძნელი სალაპარაკოა. ოპოზიცია ყოველთვის ცდილობს, მეტი გაიღოს ხელისუფლებამ, მაგრამ სინამდვილეში, როდესაც ვერ ხედავ იმ ხარჯებს, რომელთაც ხალხი ელოდება მომავალში, ძნელია ზუსტი დასკვნის გაკეთება. თან რა დონის იქნება კრიზისის მოცულობა, არავინ არ იცის და მათ შორის, არც ჩვენი სახელმწიფოს შესაბამისი სამინისტროს წარმომადგენლებმა.

ამ პანდემიასთან ბრძოლაში ეკონომიკა ყველაზე მეტად ზარალდება. თუ ჯანდაცვის სფერო კარგად უმკლავდება გამოწვევებს, ეკონომიკის სფერო ძალიან ჩავარდნილია და უკმაყოფილობებს იწვევს, თუმცა სოციალური თვალსაზრისით 300 ლარი იქნება, 200 ლარი თუ 100 ლარი, რა თქმა უნდა, ყოველთვის კარგია. ძალიან ბევრ ადგილას ჩანს შერჩევითობის პრინციპი და უსამართლობის განცდა ჩნდება.

– რას გულისხმობთ შერჩევითობის პრინციპში?

– საკმაოდ მნიშვნელოვანია თვითდასაქმებულების თანხა, რომელიც გამოყვეს და კრიტერიუმები, რომლებზეც გვეუბნებიან, რომ თვითდასაქმებული უნდა აკმაყოფილებდეს. საქსტატის მონაცემებით 11.6% უმუშევარია. თუ შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობას გამოვაკლებთ ამ 11.6%-ს, გამოვაკლებთ საჯარო სექტორში დასაქმებულ პირებს, კერძო სექტორში დასაქმებულ ადამიანებს, მივიღებთ რიცხვს, რომელიც რეალურად არის თვითდასაქმებულების რაოდენობა.

როდესაც ამ ადამიანებს არ ითვალისწინებ და კრიტერიუმებს უსახავ, რომ რაღაც ქვითარი უნდა ამოარტყას ერთხელ მაინც, არასწორია. რა ქვითარი უნდა ამოარტყას რეპეტიტორმა, რომელიც ბავშვებს ამზადებს?! ან ელიავას ბაზრობაზე მდგომმა ადამიანმა, რომელსაც ხელში უჭირავს ნიჩაბი, რა ქვითარი უნდა ამოარტყას?!

– ანუ თვითდასაქმებულების საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანი კრიტერიუმებია?

– რა თქმა უნდა და შეიძლებოდა მკაფიოდ განსაზღვრულიყო, რომ თუ ადამიანი რაღაც მომსახურებებს იხდის, შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ მას ჰქონდა შემოსავალი და ამ მდგომარეობიდან გამომდინარე მას შეუწყდა შემოსავალი. ეს იქნებოდა ყველასთვის მარტივი კრიტერიუმი.

– რატომ არ აკეთებს ამას „ქართული ოცნება“ – არ აქვს შესაბამისი კომპეტენცია თუ სხვა მიზანი აქვთ?

– ალბათ, თანხებს რომ თვლიან, უჭირთ ყველაფრის გადანაწილება. იმდენად დისპროპორციული გამოდის, ზოგიერთი თვითდასაქმებული რომ ავიღოთ და ავიღოთ დასაქმებული, მათ შორის დიდი დისკრიმინაციული საკითხია. თუნდაც ის 300 ლარი 6 თვეზე რომ გადაანაწილო, 50 ლარი გამოდის თვეში. რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის და რეალურად ფინანსების უკმარისობაა.

– ამ ყველაფერში კორუფციის რისკებიც ხომ არ ჩნდება?

– რა თქმა უნდა, კორუფციის რისკებიც არის და მეორე, რაც მთავარია, არის ის, რომ არ ჩანს ის დაპირებული სამუშაო ადგილების შექმნა – 200.000 სამუშაო ადგილი, რომელიც 2016 წელს გაიცა წინასაარჩევნოდ. გრაფიკი რომ ჰქონდათ გაკეთებული, ინფრასტრუქტურული პროექტები, ეს, ის... სად არის, მითხარით.

დავით ჭიჭინაძე: „ჯიბე“ მონოპოლისტად გადააქციეს და ის მალე ალბათ „ოცნების“ სპონსორი გახდება“

ტურიზმზე რომ იყო ხალხი დამოკიდებული, იმათ რა უნდა ქნან? მაგალითად, გიდმა რა ქვითარი უნდა ამოარტყას?! ელოდება ექსკურსიას, მიყვება მას და უყვება ისტორიას. ისეთი თემაა, რომ ვისაც უნდათ, ითვალისწინებენ, ვისაც უნდათ, არ ითვალისწინებენ. როცა არ არის მკაფიოდ განსაზღვრული, ვის რა ეკუთვნის, ყოველთვის არის კორუფციის ნიშნები.

– ხომ არ გაქვთ ინფორმაცია, რომ ვიღაცის ინტერესი იკვეთება?

– რა თქმა უნდა. გამოიკვეთა შპს „ჯიბე“, რომელიც ბაზარზე მოგვევლინა სოფლის მეურნეობის შემსყიდველ, ადგილობრივი პროდუქციის მონოპოლისტად.

– ვინ ლობირებს ამ კომპანიას?

– ეგ არ ვიცი. მე და თქვენ რომ არ ვლობირებთ, ფაქტია და თუ ვინმე ახერხებს, რა თქმა უნდა, „ქართული ოცნების“ მაღალ ეშელონებთან დაახლოებული ადამიანია. ვინმე უბრალო მოკვდავს რომ გაეკეთებინა ეს, ხელისუფლება ისეთ ამბებს ატეხდა, რადგან „ჯიბეზე“ იმდენი საუბარია. ალბათ ვნახავთ, რომ ის გახდება „ქართული ოცნების“ სპონსორი. როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე. მე თუ მკითხავთ, ეს ასეც უნდა იყოს, რადგან „ოცნება“ მას უქმნის სასათბურე პირობებს, მონოპოლისტურ პირობებს.

– თანამედროვე გაგებით, ეს არ არის კორუფცია?

– რა თქმა უნდა. როდესაც შენ ხელოვნურად მონოპოლისტს ქმნი ბაზარზე, პირდაპირი სარგებელი გაქვს აღებული. ხალხი უკმაყოფილოა, გლანძღავს, გაგინებს და მონოპოლია სხვა რა არის თუ არა პირდაპირი კორუფცია?! ეს ჩვენს ქვეყანაში ისეთი ფესვებგადგმულია, რომ თუ დააკვირდებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო პრაქტიკულად მონოპოლიზირებულია, ის სახელმწიფო სამსახური არ არის, ის კონკრეტული ჯგუფების მსახურებაშია. რამდენიმე წელია ასეა და იქ ყველას თავისი წილი აქვს. ასევეა ეკონომიკის სამინისტრო. შეხედეთ, ვისი მსახურია თურნავა.

– ვისი?

– გარკვეული ფინანსური ჯგუფების მსახურია. ჩხარტიშვილის... მაგათი გამოზრდილია, მთელი ცხოვრება მაგათთან მუშაობდა. მერე ბეჟუა შვილებთან იყო. ახლა ბეჟუა შვილი ჩახსნილი ჰყავთ და ჩხარტიშვილმა დაიბრუნა. შეხედეთ, ხანიშვილი, თურნავა. იმხელა სესხები აქვთ აღებული. 700.000 რომ ექნება სესხად გამოტანილი სახელმწიფო მოხელეს იპოთეკით დატვირთული და მეორეს 600.000, რა გარანტია აქვთ, რომ 15 წელი სახელმწიფო სამსახურში იქნებიან? მთელი ცხოვრება სახელმწიფო სამსახურში რომ მუშაობ, საიდან დაგიგროვდა ის პოტენციალი, რომ მერე შეძლო ამის გადახდა?!

გასაგებია, რომ რაღაცა აქვთ შეძენილი ისეთი, რისი „გაპრავებაც“ უნდათ, რომ თითქოს სესხით აქვთ შეძენილი, ან პირიქით. მაგალითად, ხანიშვილს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია აქვს. ბანკიდან გამოტანილი აქვს იაფად და გასესხებული აქვს მაღალი პროცენტით.

მეორე მომენტია, რა შემთხვევაში მიდიან ეს ადამიანები ბანკების წინააღმდეგ? ვერასოდეს. ეკონომიკას კი სჭირდება ჯანსაღი პროცესი, მაგრამ ესენი არ წავლენ ამაზე, რადგან ამხელა სესხები გააჩნიათ.

როცა ხალხზე ლაპარაკობ, გაშტერებული გიყურებენ, რა ავადმყოფობა შეგეყარა იმისთანა, რომ ხალხზე ლაპარაკობ. ეს ამათ გაგებაში არ ჯდება. ამას ავადმყოფობად გითვლიან, როცა ხალხზე ლაპარაკობ. ხომ ვიყავი უმრავლესობის წევრი?!

– ვინმეს უთქვამს ეს თქვენთვის თუ გამოხედვა ჰქონდათ ასეთი?

– ყოველთვის ეს იყო. ამოიღეთ კომიტეტის სხდომები და ნახეთ გაშტერებული სახეები.

– პირადად არავის უთქვამს ეს?

– საბანკო სფეროსთან დაკავშირებით სულ ეს იყო. კვირიკაშვილის მთავრობის დროს განსაკუთრებით. ახლა დიდი პოლიტიკოსი რომ გაგვიხდა ყოფილი ბანკირი. ახლა რომ არ მოსწონს და თურმე ყველაფერი კომუნისტური რომ ყოფილა. თვითონ რა, ახალგაზრდა კომუნისტი არ იყო?!

– ხაზარაძეს გულისხმობთ?

– დიახ, მას ვგულისხმობ და მონოპოლია ჰქონდა აღებული. შემთხვევა მქონდა გუშინ, მოვიდა ერთი მოქალაქე ჩემთან, რომელსაც სესხი მისცეს, ანგარიშზე დაუსვეს თანხა, მისი გამოყენების უფლება არ მისცეს და 3 თვით პროცენტები ახდევინეს. სანამ ეროვნულ ბანკში არ იჩივლა, იქამდე თავი ვერაფერს ვერ მოაბა. მერე მისი განკარგვის უფლება მისცეს, მას სასტუმრო ბიზნესი ჰქონდა და ყველაზე მეტად სჭირდებოდა იმ მომენტში მისი განკარგვის უფლება.

ეს არის, ვინც პრემიერ-მინისტრთან არის დაახლოებული, მას ბევრი რამე შეუძლია. თუნდაც საქართველოს ბანკი ისეთ აბსურდულ განცხადებებს აკეთებს, თითქოს ბიზნესები არ გააჩნია. „ემ კვადრატები“ და „ევექსები“, თითქოს ბანკთან კავშირები არ აქვთ და ესეც ხომ ამ ხელისუფლების დროს ჩამოყალიბებული მანკიერი სისტემებია?!

მილიარდიან მოგებებზე გადიან, სამარცხვინო არ არის?! ყველა ღარიბდება და ესენი მდიდრდებიან.

ვინ მიიღებს 6 თვის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ დახმარებას

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე თამილა ბარკალაია განმარტავს, თუ რა კატეგორიის მოქალაქეები მიიღებენ ექვსი თვის განმავლობაში სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ დახმარებას.

როგორც ბარკალაიამ კოვიდ 19-ის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაციაზე განაცხადა, საშუალოდ 1 სოციალურად დაუცველ ოჯახზე 6 თვის განმავლობაში 600 ლარია გამოყოფილი.

ბარკალაიას თქმით, აღნიშნულ პირებს დახმარების მისაღებად დამატებითი საბუთების წარდგენა არ დასჭირდებათ.

– დახმარებას მიიღებენ სოციალურად დაუცველი ადამიანები და ის ადამიანები, რომელთაც ქულა აქვთ 65 ათასიდან 100 ათასის ჩათვლით. ასეთი ოჯახები ჯერჯერობით იღებენ მხოლოდ 50-ლარიან დანამატს. თუმცა ამ მოკლევადიან ჭრილში 6 თვის განმავლობაში, მიიღებენ დახმარებას აღნიშნული ოჯახებიც. ასევე, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებიც მიიღებენ დახმარებას სახელმწიფოსგან.

სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთაც ჰყავთ სამი ან მეტი შვილი და მათი ქულა არის 100 ათასი, ან ნაკლები, ისინიც მიიღებენ დახმარებას.

დაქირავებული პირები, რომლებსაც შეუწყდათ ხელფასი და არიან უხელფასო შვებულებაში ან გათავისუფლებული არიან სამსახურიდან, ასევე, არიან ჩვენი პოტენციური ბენეფიციარები. ასევე, თვითდასაქმებულებიც მიიღებენ დახმარებას.

ამ ეტაპზე 70 ათასი ოჯახი ანუ 190 ათასი პირია, რომელთაც ქულა აქვთ მინიჭებული 65 ათასიდან 100 ათასის ჩათვლით და ისინი არ არიან სოციალური დახმარების მიმღებები, რადგან ასეთი პირები არიან მხოლოდ 65 ათასამდე ქულის მქონე ადამიანები.

შესაბამისად, 6 თვის განმავლობაში სოციალურად დაუცველი ოჯახები მიიღებენ შემდეგი სახის დახმარებებს. 1 სულიან ოჯახზე 70 ლარის ოდენობით, ორსულიანზე – 90 ლარის ოდენობით, სამსულიანზე – 105 და მიდის ზრდა და 6 თვის განმალობაში საშუალოდ 600 ლარი თითოეულ ოჯახზე იქნება გამოყოფილი. ამ ბენეფიციარებს დამატებითი საბუთების წარდგენა არ სჭირდებათ. აღნიშნული დანამატი დაერიცხებათ იმ სოციალურ დახმარებასთან ერთად, რომელსაც იღებენ, – განაცხადა ბარკალაიამ.

მისი თქმით, სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთაც 3 შვილზე მეტი ჰყავთ, 6 თვის განმავლობაში თვეში 100 ლარს მიიღებენ.

– ასევე, დახმარებას მიიღებენ სოციალურად დაუცველი ოჯახები, ვისაც 100 ათასი ქულა და ნაკლები აქვს, რომელთაც ჰყავთ 3 და მეტი ბავშვი. ასეთი ოჯახი იდენტიფიცირებულია 21 ათასი და აღნიშნულ ოჯახებსაც არანაირი დამატებითი საბუთების წარდგენა არ დასჭირდებათ და ავტომატურად მიიღებენ დახმარებებს 6 თვის განმავლობაში, თვეში 100 ლარს.

ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ბავშვები, სულ დაიდენტიფიცირებულია დაახლოებით 40 ათასი პირი. მათაც არ დასჭირებათ დამატებითი საბუთი, მათ დაემატებათ 100 ლარი, 6 თვის განმავლობაში, – განაცხადა ბარკალაიამ.

ნაციონალები პენსიის ინდექსაციის კანონპროექტს მხარს არ დაუჭერენ

ნაციონალური მოძრაობა პენსიის ინდექსაციის შესახებ კანონპროექტის მხარდაჭერას არ აპირებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე რომან გოცირიძემ განუცხადა, პენსიის ინდექსაციის მთავრობის მიერ შემოთავაზებული წესის მიხედვით, პენსიონერებს 400-ლარიანი პენსია 6-7 წლის შემდეგ ექნებათ.

– მთავრობის მიერ შემოთავაზებული პენსიის ინდექსაციის ამ წესის მიხედვით, ზომიერი ინფლაციისა და დაახლოებით 5%-იანი ეკონომიკური ზრდის პირობებში, ჩვენს მოქალაქეებს 400-ლარიანი პენსია გაუხდებათ 6-7 წლის შემდეგ. საუკეთესო შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს 2026 წელს.

ეს იმას ნიშნავს, რომ პენსია, ფაქტობრივად, არ იზრდება და მისი რეალური მსყიდველუნარიანობა დაახლოებით იმ ფარგლებში იქნება, რაც დღეს არის. პენსიონერებისთვის ინფლაცია გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვეულებრივად არის ხოლმე ქვეყანაში, ვინაიდან მათ მიერ მოხმარებული საქონელი გაცილებით მეტად უფასურდება, ვიდრე დანარჩენი პროდუქცია.

ასე რომ, ეს მიუღებელია და ჩვენ ამ ინიციატივას მხარს ვერ დავუჭერთ, ვინაიდან 6 წლის შემდეგ 400-ლარიანი პენსია დაცინვაა და მეტი არაფერი, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

ფინანსთა მინისტრ ივანე მაჭავარიანის განცხადებით, პენსიის ინდექსაციის შესახებ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი პარლამენტს უახლოეს მომავალში წარედგინება.

მისივე ინფორმაციით, ამ ცვლილებებით 70 წლამდე პირებისთვის პენსია ყოველწლიურად მინიმუმ 20 ლარით, ხოლო 70 წელს გადაცილებულთათვის 25 ლარით გაიზრდება.

გორის სამხედრო ჰოსპიტალის უმცროს მედდას კორონავირუსი დაუდასტურდა

გორის სამხედრო ჰოსპიტალის უმცროს მედდას კორონავირუსი დაუდასტურდა.

ამის შესახებ ინფორმაციას გორის სამხედრო ჰოსპიტალი ავრცელებს.

ინფორმაციის თანახმად, ექთანს ჰოსპიტალის სხვა ექიმებთან შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე კონტაქტი არ ჰქონია. თუმცა მასთან შემხებლობაში მყოფ პერსონალს მაინც ჩაუტარდა ტესტირება და ყველა მათგანის პასუხი უარყოფითია.

– ექთანს ჰოსპიტალის ექიმებთან შესაბამისი აღჭურვილობის გარეშე კონტაქტი არ ჰქონია, თუმცა, ამის მიუხედავად, მასთან შემხებლობაში მყოფ პერსონალს ჩაუტარდა ტესტირება და ყველა მათგანის პასუხი უარყოფითია. აქვე მოგახსენებთ, რომ ჰოსპიტალის გარეთ მოძიებულია ყველა კონტაქტი და მიმდინარეობს ეპიდემიოლოგიური მოკვლევა, – აღნიშნულია ჰოსპიტალის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ივანიშვილი იმიტომ არ ჩანს, რომ გახარია კრიზისს კარგად უმკლავდება“

თორნიკე შარაშენიძე: „საქართველო შვედური გზით ვერ წავიდოდა“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, დღეს ხელისუფლება გაცილებით მომგებიან სიტუაციაშია, ვიდრე ოპოზიცია და შეეცდება, სათავისოდ გამოიყენოს არსებული ვითარება. თქვენ რამდენად ხედავთ ხელისუფლების მხრიდან ამის მცდელობას?

– რა თქმა უნდა, ისარგებლა ამ სიტუაციით მმართველმა პარტიამ და ამით ისარგებლებდა ნებისმიერი პარტია, ვინც არ უნდა ყოფილიყო ხელისუფლებაში. ამ მთავრობისგან ჩვენ მიჩვეულები ვიყავით შეცდომებს და წარუმატებლობებს და ამის ფონზე კარგად უმკლავდებიან კრიზისს. აშკარად ჩანს, რომ მათ კატასტროფა არ უქნიათ, ბევრს არ უნდა ამის აღიარება, მაგრამ ასეა. არც სიკვდილიანობაა მაღალი ჩვენს ქვეყანაში და იმ მაჩვენებლის კვალობაზე, რომელიც ჰქონდა „ქართული ოცნების“ მთავრობას, კრიზისს ნორმალურად გაუმკლავდა.

– ცოტა ზედმეტი ხომ არ მოუვიდათ დაწესებული რეგულაციები, როგორც ამაზე ოპოზიცია საუბრობს?

– ამაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ნაადრევია, ჯერ კრიზისში არ გადავსულვართ და შეფასებების კეთება ცოტა რთულია. არავინ იცის, შვედური მიდგომა გაამართლებს თუ კარანტინის მიდგომა. საქართველო ვერ წავიდოდა შვედური გზით.

– რატომ?

– იმიტომ, რომ საქართველოს ჯანდაცვა ისეთ დონეზე არ არის, როგორც შვედეთში, ეს ერთი, მეორე, შვედეთში საზოგადოება მჭიდროდ არ ცხოვრობს. იქ მოხუცი მშობლები ცალკე ცხოვრობენ, ახალგაზრდები – ცალკე. საქართველოში ძალიან ხშირად გვხვდება ოჯახები, სადაც თაობები ცხოვრობენ ერთად. დიდი ოჯახური კლასტერებია. შესაბამისად, საქართველო ვერ წავიდოდა შვედური გზით, უნდა წასულიყო კარანტინის გზით.

– ანუ თქვენთვის ეს მოდელი უფრო მისაღებია, რაც ჩვენთან მუშაობს?

– თეორიულად რასაც ვუყურებთ, ესაა მისაღები. ახლა მთავარი და მნიშვნელოვანია სხვა რაღაცა, ეკონომიკა ისე არ დაზარალდეს, რომ შიმშილით უფრო მეტი ადამიანი გარდაიცვალოს, ვიდრე კორონავირუსით.

– ამ პრობლემას რამდენად გაართმევს თავს ხელისუფლება?

– ეს დამოკიდებულია იმაზე, რა დახმარებას მივიღებთ გარედან. შიგნით რესურსი შეზღუდულია, განა რამდენი შიდა ვალი უნდა აიღოს მთავრობამ? ამიტომაც გარედან უნდა მოვიდეს დახმარება. უკეთესი იქნება, თუ ეს მოხდება გრანტებით და არა – სესხების სახით. სააბოლოო ჯამში ამაზე იქნება ყველაფერი დამოკიდებული. ამან გადაგვაგორებინა ჩვენ 2008-2009 წლების კრიზისი. გარედან მიღებულმა დახმარებებმა.

თუ მართლა 2 მილიარდი დოლარი შემოვა ქვეყანაში, როგორც ამას ამბობენ, მაშინ არის იმის შანსი, რომ გამოვძვრეთ ნორმალურად. თუმცა ასე მარტივად არ შემოვა ეს 2 მილიარდი. ასე მარტივად საშოვნელი არ იქნება.

– გახარიამ წინასაარჩევნო კამპანია დაიწყოო, აცხადებს ოპოზიცია. ასეა?

– რა თქმა უნდა, ნებისმიერი მმართველი გუნდი ასე მოიქცეოდა და ამას ჩაიწერდა თავის აქტივში, მით უმეტეს, არჩევნების წელია.

– ამ სიტუაციაში შეიძლება „ოცნება“ იწერს ქულებს, მაგრამ გადაივლის პანდემია და წინ გველოდება სერიოზული ეკონომიკური კრიზისი. მშიერი ხალხი რამდენად დაუჭერს მხარს გახარიას მთავრობას?

– სწორედ ესაა საქმე. თუ იქამდე მოახდინა „ოცნებამ“ ფულის მოზიდვა, ვიდრე არჩევნები მოახლოვდება, არის შანსი გამოძრომის. თუ არადა, რა მოხდება, ძალიან რთული სათქმელია. როგორი იქნება შემოდგომა, ჯერ კიდევ არავინ იცის.

– ბიძინა ივანიშვილი მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა და ისიც მისი შვილის ტიკტოკზე. რასაც ოპოზიციის და საზოგადოების ნაწილის გულისწყრომა მოჰყვა. რატომ არ ჩნდება ივანიშვილი?

– რთული სათქმელია ჩემთვის, ამ ადამიანს ისე კარგად არ ვიცნობ. უბრალოდ, მას ყოველთვის უნდოდა, ყოფილიყო უკანა პლანზე, თუ ძალიან არ გაუჭირდებოდა. ეს უკვე ცნობილია. მას ძალიან გაუჭირდა, როცა ზურაბიშვილი ჩაფლავდა პირველ ტურში და სწორედ მაშინ გამოჩნდა. როგორც ჩანს, ეს არის მისი მმართველობის ფორმულა.

– როცა სერიოზულ კრიზისს დაინახავს, მხოლოდ მაშინ გამოდის?

– დიახ, ზუსტად ასეა.

– ახლა ფიქრობს, რომ გახარია თავს ართმევს შექმნილ სიტუაციას?

– დიახ, ასეა. თანაც მთელ მსოფლიოს აუწყეს „ქართული ოცნების“ აქტივისტებმა, რომ ივანიშვილმა 100 მილიონი ლარი ჩარიცხა და, როგორც ჩანს, ჩათვალა, რომ ეს სრულიად საკმარისია მის გასაპიარებლად.

– თუკი არჩევნები ოქტომბერში ჩატარდა, რა მდგომარეობაში იქნება ოპოზიცია და რამდენად მზად იქნება არჩევნებისთვის?

– საარჩევნო კამპანია ორ თვეშიც მშვენივრად მოესწრება. ოპოზიციისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ კრიზისის დროს გამოჩნდნენ სერიოზულები და კონსტრუქციულები. არ უნდა დარჩეს არავის ისეთი შთაბეჭდილება, რომ ისინი ჩასაფრებულები არიან. ჩასაფრება არ უნდა იყოს თვითმიზანი. მით უმეტეს, როცა ადამიანების ნაწილი ფიქრობს, რომ მთავრობა კარგად უმკლავდება კრიზისს, შენ არ უნდა უთხრა, რომ მთავრობა უშვებს კატასტროფულ შეცდომას, რადგან მათ ხალხი არ დაეთანხმება. ამიტომ ბალანსის პოვნაა საჭირო. კრიტიკა, მაგრამ კონსტრუქციული.

– ბევრს რჩება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლება ეშმაკობს, ცდილობს, ძველი სისტემით ჩაატაროს არჩევნები. ელჩებიც გადაიკიდეს, მათაც არ უსმენენ...

– ამას ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნები ძველი სისტემით ჩაატარონ. თუმცა ვფიქრობ, რომ მათ ამ კრიზისმა უფრო მეტი თავდაჯერება შემატა, არ ეშინიათ და ახალი სისტემითაც შეეცდებიან არჩევნების მოგებას.

ელჩები ერთხელ თუ მოატყუეს, შესაძლოა, მეორედაც მოატყუონ და მესამედაც. თუმცა მრჩება შთაბეჭდილება, ახლა, ამ კრიზისის დროს, რეიტინგი რომ აკრიფეს, არც ახალი სისტემით ჩატარების ეშინიათ.

– შეთანხმება შედგა და რა დამოკიდებულება ექნება საერთაშორისო საზოგადოებას, ელჩებს? აპატიებენ კიდევ ერთხელ გადაგდებას?

– ფაქტია, რომ ერთხელ გადააგდეს. ახლა იფიქრებენ, რომ მთელი მსოფლიო კორონა ვირუსზე ფიქრობს, ამერიკა გადართული იქნება თავის არჩევნებზე და აქედან გამომდინარე, შესაძლოა, ეს გაბედონ და ძველი სისტემით ჩაატარონ.

– ბატონო თორნიკე, თქვენთვისაც ცნობილია, თუ რამხელა აჟიოტაჟია ატეხილი სააკაშვილის ირგვლივ. რა თამაში წამოიწყო ზელენსკიმ?

– ზელენსკი არის მარტო, იგი არის პრეზიდენტი უკრაინაში, რომელიც არის ტიპიური ოლიგარქატი. დღეს უკრაინას მართავს რამდენიმე მილიარდერი. ამ სიტუაციაში სერიოზული რეფორმები და პროგრესი უკრაინაში გამორიცხულია. ზელენსკის მიერ მიშას წინა პლანზე წამოწევას ორი მიზანი ჰქონდა: ერთი, თავისი პოზიციების გაძლიერება, რადგან მიშა არც ერთ ოლიგარქს არ ექვემდებარება და ანგარიშს არ გაუწევს, ამიტომ ის და ზელენსკი იქნებოდნენ ერთად და მეორე – რეფორმების გატარების მცდელობა.

– ხისტი ხელი სჭირდება ზელენსკის მმართველობის პროცესში?

– კი, ასეა. თუმცა ეს ამ ეტაპზე ჩავარდა, რადგან შიდა პოლიტიკური ვითარება უკრაინაში არ არის ისე მარტივი, რომ ასე მარტივად გაიყვანოს სააკაშვილისნაირი კანდიდატურა.

ზელენსკის ნამდვილდ არ შეშინებია თალაკვაძის და კობახიძის მუქარის და სალომე ზურაბიშვილის. კომიკურია ალბათ მათთვის საქართველოსნაირი ქვეყნისგან თითის ქნევა და ბუტიაობა. და მეორეც, საქართველოს ამ ხელისუფლებისგან ისინი არანაირად დავალებულები არ არიან.

– ანუ შიგნით ვერ გვარდებიან?

– რა თქმა უნდა, შიდა პოლიტიკური ამბავია. შესაძლოა, ამ ეტაპზე ჩავარდა, მაგრამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან არ მოიხსნება. თუ რომელიმე ოლიგარქი მხარს დაუჭერს, საკითხს ბოლომდე მიიყვანს.

მოკლედ, სადაც მიშაა, იქ შეიძლება ყველაფერი მოხდეს.

გიგლა ბარამიძე: „ქართულ ოცნებას“ საგანგებო მდგომარეობა გაუტკბა“

ექიმები თავის გამოსვლებში უნდა იყვნენ ზომიერები და არ უნდა დაემსგავსონ ხელისუფლების პრესსპიკერებს. მთავრობა კი, როცა გაუჭირდება, ექიმებს არ უნდა ამოეფაროს

მარიამ მჭედლიშვილი

გრძელდება საგანგებო მდგომარეობა და კამათი იმაზე, რამდენად სწორი და საკმარისია ხელისუფლების მიერ ხალხისათვის გამოყოფილი კომპენსაციები. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივანს, გიგლა ბარამიძეს.

– ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მიზანია, გაუმჯობესდეს თითოეული მოქალაქის ცხოვრება. დაანონსებული ანტიკრიზისული გეგმით ეს შესაძლებელია?

– არა. საერთოდ გაუგებარია ამ გეგმით ტრაბახი. ხალხზე ზრუნვა ყველა ხელისუფლების ვალია. ისე წარმოგვიდგენენ, თითქოს მარტო ესენი ფიქრობენ ადამიანებზე და ახორციელებენ ანტიკრიზისულ გეგმას. ყველა მოქალაქის ცხოვრება ამ სოციალური ღონისძიებებით ვერ გაუმჯობესდება. ეს არ არის ის, რასაც ჩვენ ველოდით. ჩვენი აზრით, უნდა ყოფილიყო კომპლექსური პროგრამა თავისი სოციალური და ეკომომიკური ნაწილებით. რა მივიღეთ? დაპირება რამდენიმე თვის განმავლობაში დასაქმებულების 200 ლარით დაფინანსების შესახებ და თვითდასაქმებულთა ერთჯერადი კომპენსაციის თაობაზე. ის, თუ ვინ შედის ამ კატეგორიაში, დღემდე ვერ გაურკვევიათ.

– განსაკუთრებით, თვითდასაქმებულებშია არეულ-დარეულობა.

– დიახ. ჩვენ გვყავს 850.000-ზე მეტი თვითდასაქმებული. ხელისუფლება მათ დიდ ნაწილს არ ეხმარება. გარდა ამისა, მთავრობას გამორჩა საზოგადოების ის ნაწილი, რომელსაც დევნილები ჰქვია. ეს არც არის გასაკვირი.

– რატომ?

– იმიტომ, რომ, რეალურად, ამ ხელისუფლებას აფხაზეთი და სამაჩაბლო არ მიაჩნია ქვეყნის ტერიტორიებად. ამას ხმამაღლა არ აღიარებს, სინამდვილეში კი, ასეა. რას არ მიედმოედნენ, დევნილები კი დაავიწყდათ! არადა, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან გამოდევნილებისთვის ჯერ არ მოუგვარებიათ სოციალური და ბინის პრობლემები. ამ გეგმას ვუწოდებდი საარჩევნო ფაცი-ფუცს და საარჩევნოდ დახმარების დარიგებას. ახლა ტესტებზე ატყდა

ალიაქოთი. მანამდე გვეუბნებოდნენ, რომ ტესტირება საჭირო არ არის.

– ხელისუფლება ამბობდა, რომ მიზნობრივ ტესტირებას ატარებდა.

– ტესტირება არსებობს მიზნობრივი და მასობრივი. ახლა რომ ჩინეთიდან ტესტები შემოვიდა, სხვანაირად ალაპარაკდნენ. თურმე, მართლები ვყოფილვართ, რომ ფართო ტესტირებას ვითხოვდით.

– ბოლო დროს მედიკოსების მიმართ კრიტიკა გამძაფრდა. ნიკა გვარამიამ პაატა იმნაძეს ხელისუფლების ტროლიც კი უწოდა.

– ჩვენი ექიმების მიმართ საყვედური არ გვეთქმის. ამ სამი-ოთხი ადამიანის გარდა, რომელიც კორონავირუსზე სისტემატურად ატარებს ბრიფინგებს, არიან სხვები – ექიმები, ექთნები, სანიტრები. ისინიც დიდ სამუშაოს ასრულებენ. მედპერსონალი ასრულებს თავის მოვალეობას, ისევე, როგორც ამას აკეთებენ მეპურეები. მეპურეს მადლობას არავინ უხდის. ყველა აკეთებს თავის საქმეს. ამ კორონავირუსის თემაზე უნიჭო კლიპების გადაღებაც არასწორია.

– სამეგრელოში რომ კლიპი გადაიღეს, იმაზე საუბრობთ?

– დიახ. უგემოვნო კლიპი გააკეთეს უნიჭო მუსიკით. ის ძალიან მაგონებს წინა ხელისუფლების ნაბიჯებს და კლიპს „მიშა მაგარია“. ექმიები თავის გამოსვლებში უნდა იყვნენ ზომიერები და არ უნდა დაემსგავსონ ხელისუფლების პრესსპიკერებს. მთავრობა კი, როცა გაუჭირდება, ექიმებს არ უნდა ამოეფაროს. უნდა გავზომოთ ხელისუფლების ნაბიჯები „კარანტინადან“ ტიკარაძის ზიარების კოვზამდე.

– რაზე საუბრობთ?

– საქართველოს დანიშნულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა საჯარო გამოსვლისას გამოიყენა სიტყვა „კარანტინა“. ამაზე კოშმარი იყო ჯანდაცვის მინისტრის გამოთქმა. ეს ქალბატონი, რომელიც გამოსვლების დროს თვალსაც არ ახამხამებს, აცხადებს, რომ ზიარების კოვზზე შეიძლება ჩატარდეს სამედიცინო კვლევა. მე მას (რასაკვირველია, ხუმრობით) მოვუწოდებ, დაიცვას დისერტაცია თემაზე: ზიარების კოვზის გავლენა მართლმადიდებელი ადამიანის ჯანმრთელობაზე. თუ ეს მოახერხა, ჯილდოს გავუგზავნი.

– ჩვენ გაგებით შევხვდით საგანგებო მდგომარეობას და აკრძალვებს. ხომ არ მოვიდა დრო, ეკონომიკური აქტივობა წესების დაცვის გათვალისწინებით აღდგეს? თორემ, გაეროს მიერ რამდენიმე თვის შემდეგ პროგნოზირებული ბიბლიური შიმშილი საქართველოში უკვე დადგა და ამას კომპენსაციები ვერ შველის.

– ახლა გამახსენდა რამდენიმე თვის წინანდელი პერიოდი, როცა რუსთაველზე საპროტესტო აქციებს ვატარებდით, ხელისუფლების წარმომადგენლები კი ვირთხებივით შეიპარებოდნენ ხოლმე პარლამენტში. ახლა სხვა გარემოებაა. როგორც ვატყობ, „ქართულ ოცნებას“ საგანგებო მდგომარეობა გაუტკბა. ეს ადამიანები ძალიან კარგად გრძნობენ თავს. თვითონ არაფერი აკლიათ. უფრო რიხიანადაც გამოიყურებიან. სხვებს ზღუდავენ. გამაგებინონ, რატომ ჩაგვიკეტეს სასაფლაოები? კარგი, აღდგომას და მის მეორე დღეს დაიხურა ეს ტერიტორიები, შემდეგ რა მოხდა? სასაფლაოები ყველაგან ღია სივრცეა. ისეთი რა საშიშროება დგას, რომ ღია სივრცეს კეტავენ?! ხელისუფლების წარმომადგენლების მაღაზიების ქსელი დაკეტილი სივრცეა, შენობებშია განთავსებული, მაგრამ იქ ხალხი თავისუფლად დადის. ამ ხელისუფლების სახეა ფარცხალაძე, მისი ყოფილი პროკურორი. იმ დროს, როცა მთელ საქართველოს მოძრაობა აეკრძალა, ფარცხალაძე თავისი ჯიპით ჯირითობდა თბილისის ცენტრში. ხელისუფლებასთან დაახლოებულ ხალხს საშვებიც განაღდებული ჰქონდა და სხვა ყველაფერიც აქვთ. მოვუწოდებ ხელისუფლებას, მიხედოს თავის თავს და ყველაფერზე ოპოზიციისკენ ნუ იშვერს ხელს!

– რა გაქვთ მხედველობაში?

– კრიტიკას ვერ იტანენ. აუჩემებიათ, ოპოზიცია ჭკუას გვასწავლისო. აბა, არ უნდა ამოგვეღო ხმა, კარანტინის წესების დარღვევისთვის 6-წლიან პატიმრობას რომ აკანონებენ?!

– ამაზე დიდი უკმაყოფილება იყო.

– მეც ამაზე ვლაპარაკობ. ჯერ გამოვიდა მდინარაძე და ბრიფინგზე გვითხრა, რომ ამას აპირებენ. ამის შემდეგ, თავზე რომ დაახურეს ყველაფერი, გამოვიდა „ქართული ოცნების“ სხვა ლიდერი და თქვა, ეს ომიანობის დროს იმოქმედებსო. ზედ ეტყობათ, რომ ომიანობა ენატრებათ, რომ რეპრესიები მოუწყონ ხალხს. პარლამენტში რომ ხალხი ჰყავს „ქართულ ოცნებას“, ის თავისით არ შესულა პარლამენტში. აიღეს და დადეს. ნუ დაავიწყდებათ, რომ ხალხი შეიძლება ისევ გამოვიდეს ქუჩაში! ამათი ამოცანა ასეთია – გაგრძელდეს ეს ვითარება. „ქართულ ოცნებას“ აწყობს, რომ საგანგებო მდგომარეობიდან არჩევნებამდე რაც შეიძლება ნაკლები ვადა იყოს. ხალხს უნდა დაამახსოვრდეს ის, რომ ხელისუფლება ხალხს სოციალურად ეხმარება.

– რატომ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება ხალხს მოიმადლიერებს? დაზარალებულთა კატეგორია იზრდება. მაგალითად, აპრილის ხელფასს ვერ უხდიან იმ დასაქმებულებსაც, რომლებიც მუშაობას აგრძელებენ და დროებით უმუშევრად არ ითვლებიან.

– არ ვფიქრობ, რომ ხელისუფლება ბევრს მოიმადლიერებს. ყოველ შემთხვევაში, ის ეცდება, რომ საგანგებო მდგომარეობა არჩევნებს დაუახლოვოს და მათ შორის მანძილი შეამციროს. ეს ის ხელისუფლებაა, რომელმაც მსოფლიო მოატყუა, როცა პროპორციული არჩევნების დაპირება უკან წაიღო. მერე ამის გამო ყბაში მოხვდა. ახლა ეცდება, ისარგებლოს შექმნილი მდგომარეობით. ჩვენ ინფექციის გამო სოლიდარობა და ლოიალურობა გამოვიჩინეთ და დროებით ხელისუფლების კრიტიკა შევწყვიტეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ამას გადავაყოლოთ ქვეყანა! საზოგადოებაზე ძალიან კარგი წარმოდგენის ვარ, მაგრამ ზოგიერთმა თვალი უნდა გაახილოს! ისიც არ შეიძლება, მაგალითად, ადამიანმა ქრისტე დაივიწყოს და სააკაშვილს სცეს თაყვანი.

„სააკაშვილი „ქართული ოცნების“ თავის ტკივილია, პრობლემებს შეუქმნის“

რამაზ საყვარელიძე: „სააკაშვილი არ იყო ზელენსკის კანდიდატურა“

პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში მიხეილ სააკაშვილის უკრაინაში ვიცე-პრემიერის პოზიციაზე დანიშვნა-არდანიშვნის საკითხზე საუბრობს.

ნათია ხურცილავა

– ბატონო რამაზ, უკვე ითქვა, რომ მიხეილ სააკაშვილი უკრაინაში ვიცე-პრემიერის პოსტზე უმაღლეს რადას არ მოსწონს, მაგრამ რაში დასჭირდა ზელენსკის სააკაშვილი, თან საქართველოს ხელისუფლების პოზიცია ალბათ მისთვის ცნობილი იქნებოდა?

– ამ პოზიციაზე სააკაშვილის მიმართ არ იყო ერთსულოვნება და დიდი აღფრთოვანება თავად უმაღლეს რადაში. ჩვენ ვნახეთ, რომ პრეზიდენტმა ზელენსკიმ არ დაიცვა არც ერთი განცხადებით მისი კანდიდატურა. მეტიც, წარდგენის დროს პარტიას სააკაშვილი შეატოვა კიდეც. ეს ნიუანსები მე მაფიქრებინებს, რომ სააკაშვილი არ იყო ზელენსკის კანდიდატურა. სტილისტიკა, რომ ზელენსკი გვერდით გადგა, მაფიქრებინებს, ვიღაც „აწვებოდა“, ვიღაც ითხოვდა ამ კანდიდატურის დამტკიცებას, მაგრამ დეპუტატების ხელით პრაქტიკულად მისი დამტკიცების საკითხი მოხსნა, ყოველ შემთხვევაში, ჯერ ასე ჩანს.

მსგავსი რამ ხდება ხოლმე პოლიტიკაში, როდესაც შენ ვერ უწევ წინააღმდეგობას, ამას სხვისი ხელით აკეთებ. მე ვფიქრობ, რომ ამასთან უფრო გვაქვს საქმე, ვიდრე იმასთან, რომ ზელენსკის უნდოდა სააკაშვილი, მაგრამ რადამ წინასწარ დაუბლოკა.

–„ვიღაც“ ვინ შეიძლება იყოს? უკრაინაში ასეთი დონის ლობისტები ყავს სააკაშვილს?

– უკრაინული ლობისტები არ მგონია, რადგან ზელენსკი მათ ყოველგვარი რადის გარეშე გაუმკლავდებოდა. ამიტომ, სავარაუდოა, რომ უკრაინის გარედან ხდებოდა ზეწოლა.

– ამერიკას გულისხმობთ?

– არა, ალბათ უფრო რუსეთს ან ორივეს ერთად. ორივეს ინტერესები შეიძლება ამ შემთხვევაში დამთხვეოდა ერთმანეთს, ამას არ გამოვრიცხავ.

– ზელენსკის რუსეთის წინააღმდეგ სჭირდებოდა, ასეთი ვერსიაც წავიკითხე.

– შეიძლება ასეთი რამ წავიკითხოთ, მაგრამ თუ შევაფასებთ სააკაშვილის ნაბიჯებს, არ მგონია, მთლად რეალობასთან ახლოს იყოს. მაგალითად, როდესაც სააკაშვილმა უკრაინის საზღვარი გადალახა, ვის ინტერესებში შედიოდა, რომ მთელ მსოფლიოს ენახა უკრაინის, როგორც სახელმწიფოს, ასეთი უსუსრობა. რიტორიკაზე უფრო მნიშვნელოვანი მისი ქცევაა ამ შემთხვევაში. რიტორიკით ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა რუსეთს, მაგრამ ქცევით ყოველთვის წყალს ასხამდა რუსეთის ინტერესებს. რიტორიკის ხარჯზე ინარჩუნებს ის ამ იმიჯს.

ზელენსკი ვერც რუსეთს და ვერც ამერიკას ვერ ეტყოდა ასე პირდაპირ არას. ამას ვერ აიღებდა საკუთარ თავზე. ამიტომ, მას დასჭირდა ამ სცენარის გათამაშება. ბოლოსდაბოლოს, შოუმენია.

– თუ ზელენსკიმ ერთგვარი ანგარიში გაუწია საქართველოს ხელისუფლებას და ორი ქვეყნის მეგობრული ურთიერთობა დარტყმის ქვეშ არ დააყენა?

– საქართველოს ხელისუფლებამ თავმოყვარეობა დაიცვა. და, მე, აქ, გასაოცარს ვერაფერს ვხედავ. მე მაინც ვფიქრობ, რომ სააკაშვილი არ იყო ზელენსკის კანდიდატურა. წინასაარჩევნო პერიოდში ზელენსკიმ, რომელიც არ იყო პოლიტიკოსი და მას ძალიან სჭირდებოდა გამოცდილი პოლიტიკოსები, სააკაშვილი საერთოდ სიახლოვეს არ გაიკარა. ამიტომ ვამბობ, რომ ვიღაც სხვა ითხოვდა მის დანიშვნას.

– არის ვერსია, რომ კორუფციული ინტერესების, ბიზნესდაჯგუფებების წინააღმდეგ გაუჭირდა ზელენსკის წასვლა, რომ ვერ გადალახა ეს ბარიერი.

– ცხადია, ეს ვერსიაც იქნება, მაგრამ უკრაინაში სააკაშვილის სახლი უკვე გახდა საღამოპარაკო თემა. თუ ის ებრძვის კორუფციას, საიდან აქვს ძვირადღირებული სახლი?! გიული ალასანიას პოზიცია გასაგებია, მაგრამ მის ხელფასში ვერანაირად ვერ ჯდება ეს სახლი. თანაც, ქართულ სინამდვილეში 10 ათასი დოლარი ხელფასი, ძნელი ასახსნელია. ეს კითხვები გაჩნდა უკრაინაში.

– როგორ ფიქრობთ, როგორ ინარჩუნებს ის ასეთ აქტუალობას?

– პრაქტიკულად იმით, რითაც ადრე ახერხებდა. უდავოდ ნიჭიერი კაცია. ის ელასტიკურია. ის გრძნობს პოლიტიკურ დროს და ამაზე თამაშობს. თავის დროზე, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდა, ის მიხვდა, რომ რუსეთის ინტერესებშიც იყო შევარდნაძის შეცვლა და ამერიკის ინტერესებშიც და მან ამას თავი გაართვა.

– ქართულ პოლიტიკაზე, საპარლამენტო არჩევნებზე სააკაშვილის გავლენა როგორი იქნება?

– უკრაინაში თანამდებობაზე არ დანიშნული სააკაშვილი, ალბათ უფრო მოიცლის ქართული პოლიტიკისთვის. ამ მხრივ „ქართულმა ოცნებამ“ უფრო აიტკივა თავი, უფრო მეტი პრობლემა გაუჩნდება.

გოგა ხაინდრავა: „სააკაშვილი ახლაც რუსული პროექტია“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი მინისტრი და რეჟისორი გოგა ხაინდრავა პასუხობს.

– ბატონო გოგა, თქვენ განაცხადეთ, რომ სააკაშვილი უკრაინისთვის არის რუსული პროექტი. სააკაშვილი საქართველოსთვისაც რუსული პროექტი იყო?

– რა თქმა უნდა. მე არ მითქვამს, რომ სააკაშვილი მხოლოდ უკრაინისთვის არის რუსული პროექტი. მე ვთქვი, რომ საერთოდ, რუსული პროექტია. სააკაშვილი, პირველ რიგში, საქართველოსთვის იყო რუსული პროექტი.

– ამის რა ნიშნები არსებობს?

– ამის დასტური და შედეგია სამ ნაწილად დანაწევრებული საქართველო, რუსეთის მიერ ორი ოკუპირებული რეგიონითა და ორი უძლიერესი რუსული სამხედრო ბაზით. ეს ყველაფერი სააკაშვილმა და მისმა გუნდმა, ბეჟუაშვილმა, ვაშაძემ და სხვებმა მიართვეს რუსეთს.

– თქვენ იყავით სააკაშვილის მთავრობის წევრი.

– სააკაშვილის – არა, ჟვანიას კაბინეტის წევრი ვიყავი. სააკაშვილი პრეზიდენტი იყო. პრემიერ-მინისტრი კი ჟვანია გახლდათ და მე მისი კაბინეტის წევრი ვიყავი.

– მანამდე თუ ჩანდა, რომ სააკაშვილი რუსული პროექტის შემოქმედი იყო?

– ამასთან დაკავშირებით ჩემი მოსაზრება ადრეც მქონდა და ომის პირველივე დღეს განვაცხადე, რომ საქმე გვქონდა წინასწარ განსაზღვრულ ქმედებასთან, რომელშიც პირდაპირ სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიას ხელი ერია, რომელიც საქართველოს უშიშროების საბჭოს სხდომებს ესწრებოდა. ამაში გარეული იყო ლომაია.

– ვანო მერაბიშვილი ლევან ბერძენიშვილს დაკავშირებია და პატიება უთხოვია. ლევან ბერძენიშვილმაც მაპატია და მეც ვაპატიე, რადგან მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს გავხდი პოლიტპატიმარიო. ვანო მერაბიშვილი თქვენც ხომ არ დაგიკავშირდათ?



„მერაბიშვილი არის რუსეთის დაზვერვის თანამშრომელი“

– მე როგორ დამიკავშირდება? რაში მაინტერესებს, მერაბიშვილმა და ბერძენიშვილმა რა ილაპარაკეს.

– ზოგადად, ის ბევრ დანაშაულშია გარეული და შეიძლება...

– მერაბიშვილს, ზოგადად, ქვეყნის მიმართ აქვს ჩადენილი დანაშაული. მერაბიშვილი არის რუსეთის დაზვერვის პირველი თანამშრომელი. ის რუსეთის დაზვერვის წარმომადგენლებს ჩინეთსა (ურუნჯიში) და ბელორუსიაში ხვდებოდა. რასაც მერაბიშვილი აკეთებდა ცხინვალის მიმართულებით, ისაა, რომ ცხინვალის მთელი კონფლიქტი პირადად მერაბიშვილმა გაღვივა.

მერაბიშვილი სააკაშვილთან ერთად მიზანმიმართულად ამწვავებდა სიტუაციას. მათ გადასცეს ახალგორი ცხინვალის არალეგიტიმურ მთავრობას. ახალგორი არ შედიოდა ყოფილი „სამხრეთ ოსეთის“ ავტონომიურ ოლქში, ის და სხვა ტერიტორიები მერაბიშვილმა და სააკაშვილმა გადასცეს რუსეთს.

ამიტომ მერაბიშვილმა ბოდიში მთელ ქვეყანას უნდა მოუხადოს, მაგრამ ვერანაირი ბოდიში მერაბიშვილს ვერ უშველის. ეგენი ამ ქვეყნის მტრები იყვნენ და არიან. ქვეყანა იმიტომ დააწიოკეს, რომ თავის სამშობლოდ არასოდეს მიიჩნევდნენ.

– მერაბიშვილმა თქვა, იმან, რაც მოხდა იმ პერიოდში (გირგვლიანის მკვლელობას და სხვა დანაშაულობებს გულისხმობდა), დისკომფორტი შემიქმნაო.

– თავისი დისკომფორტი მერაბიშვილმა თავის ცოლთან ერთად გაარკვიოს, ეს ჩვენი საქმე არ არის.

– რამდენად შეიძლება ვიფიქროთ, რომ მერაბიშვილს გაცნობიერებული აქვს პასუხისმგებლობა, რაც ეკისრებოდა, როგორც ყოფილ მაღალჩინოსანს?

– გაცნობიერებული რომ ჰქონდეს, ცნობიერება უნდა ჰქონდეს. მერაბიშვილს და სააკაშვილს ცნობიერება არ აქვთ და არც არასოდეს ჰქონიათ. სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ისე დათმო, თითქოს ერთჯერადი პირბადე იყო. საქართველო მაგათი სამშობლო არ არის. ამიტომ მათი დამოკიდებულება ბუნებრივია.

სააკაშვილმა ქვების გროვა უწოდა 150 ქართულ სოფელს, რომელიც დავკარგეთ. სააკაშვილმა თქვა, ქვების გროვა დავკარგეთო. ეს ქვეყანა მერაბიშვილისთვისაც ქვების გროვაა და ბოკერიასთვისაც. მაგათი იდეოლოგი ბოკერია იყო.

– ბოკერიამ რაღაცნაირად ხომ არ მოახერხა, ჩამოერეცხა ის შავი ლაქა, რაც მას ჰქონდა?

– ჩამორეცხილი არაფერი მინახავს.

– 2012 წლის შემდეგ ბოკერია პარლამენტის წევრი ორჯერ გახდა. მაშინ რატომ უნდა ირჩევდეს ვინმე ბოკერიას დეპუტატად?

– ეს მათ ჰკითხეთ, ვინც მას ხმას აძლევს.

– გვარამიამ მერაბიშვილს ასეთი კითხვა დაუსვა – როგორც ბადრის ლოკალიზაცია მოხდა, ისე ბიძინა ივანიშვილის ლოკალიზება ხომ არ გიფიქრია, ცხადია, მკვლელობას არ ვგულისხმობ. თქვენ ეს ფრაზა როგორ გაიგეთ?

– ეს არის აღიარებითი ჩვენება. როგორც ჩანს, ერთიც და მეორეც პირდაპირ ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციაში მონაწილეობდნენ. ამის შესახებ განცხადება სწორედ ამას ნიშნავს. გვარამია რას წარმოადგენს, ყველასთვის გასაგებია. ვფიქრობ, მერაბიშვილისა და გვარამიას აღიარებითი ჩვენება პროკურატურამ უნდა ჩადოს საქმეში იმასთან დაკავშირებით, რომ ბადრი პატარკაშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტი იქნა განხორციელებული.

როგორც ჩანს, პატარკაციშვილის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობაში მერაბიშვილი და გვარამიაც მონაწილეობდნენ. კოდუაც არის ნახსენები. ეს ჩანს მათ ლაპარაკში. სააკაშვილი, თავისთავად.

– მერაბიშვილი ახლა თითქოს გარკვეულ ფაქტებს ვერ იხსენებს. მაგალითად, კასრების კადრებს. ორი გვამის მოთხოვნას კიდევ რაღაცით ამართლებს.

– მერაბიშვილის ნათქვამის კომენტირებას არ ვაპირებ. თავში ქვა უხლია და მუცელში სამართებელი.

– საუბარია, რომ ნაციონალებმა ხელისუფლებაში ყოფნისას დიდი ფული წაიღეს. თუ ეს მართლა ასეა, ეს ფული ხელისუფლებამ არ უნდა მოიკითხოს და არ უნდა დააბრუნებინოს?

– როგორ უნდა მოიკითხოს, ეგეც საკითხავია. თქმა ადვილია, მაგრამ გასაკეთებლად არის ძნელი. ისე, რა მოკითხვა უნდა, ის ფული აგერ „მთავარში“ დევს, ტვ პირველში დევს, „ფორმულაში“ დევს. აბსოლუტურად ნათელია, სად არის ხელისუფლებიდან ნაცების მიერ წაღებული ფული. აბა, წლების განმავლობაში „რუსთავი-2“-ს რით აფინანსებდნენ. სააკაშვილი იყო მეწილე.

მართალია, უკანონოდ, მაგრამ „რუსთავი-2-ის“ 51% სააკაშვილს ეკუთვნოდა. დარწმუნებული ვარ, „მთავარიც“ სააკაშვილს ეკუთვნის. იმ ფულით ფინანსდება „ფორმულა“, რომელსაც ყოფილი თავდაცვის მინისტრი აფინანსებს, რომელსაც მანამდე არსად უმუშავია. ნაცების მიტაცებული ფული სად არის, ჩანს.

სხვა საქმეა, როგორ უნდა მოიძიო ამის მტკიცებულებები. ეს პროკურორმა უნდა გააკეთოს.

მე პროკურორი არ ვარ და ვერ ვიტყვი.

მსოფლიო ბანკმა საქართველოს 80 მილიონი დოლარი გამოუყო

მსოფლიო ბანკმა საქართველოს 80 მლნ. აშშ დოლარის მოცულობის ფინანსური მხარდაჭერის პაკეტი გამოუყო. ბანკის მიზანია დაეხმაროს მთავრობას ჯანდაცვასა და სოციალურ სფეროში კოვიდ 19-ით გამოწვეული შედეგების შერბილებასა და მათზე რეაგირებაში.

ინფორმაციას მსოფლიო ბანკის პრესსამსახური ავრცელებს.

პროექტის მიზანია იმ ღონისძიებების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს პანდემიით გამოწვეული საფრთხის პრევენციას, გამოვლენას და მასზე რეაგირებას, ასევე, დაუყოვნებელი სოციალური დახმარების უზრუნველყოფას ყველაზე მოწყვლადი ფენისთვის.

მოსალოდნელია, რომ პროექტი სარგებელს მოუტანს მოსახლეობის ფართო სპექტრს, კერძოდ კი, მოსახლეობის ინფიცირებულ და რისკის ქვეშ მყოფ იმ ნაწილს, როგორებიც არიან მოხუცები, ქრონიკული დაავადებების მქონე პირები, და ასევე, საგანგებო სიტუაციებზე მომუშავე და სამედიცინო პერსონალი.

ჯანდაცვის მიმართულებით კოვიდ 19-ზე რეაგირების საგანგებო ღონისძიებები მოიცავს დაავადების შემთხვევების გამოვლენას და დადასტურებას, ტესტირების ზრდას, ისევე, როგორც შემთხვევების სამართავად ჯანდაცვის სისტემის გაძლიერებას.

ამასთან ერთად, პროექტი გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევს ღარიბ და მოწყვლად შინამეურნეობებს მიზნობრივი სოციალური დახმარების პროგრამის გაფართოებით და დროებითი ფულადი ტრანსფერების უზრუნველყოფით იმ პირებისთვის, რომელთაც პანდემიის გამო სამუშაო დაკარგეს.

– სწრაფი დახმარების მექანიზმის საშუალებით ჩვენ ხელს ვუწყობთ ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას და ამ რთულ პერიოდში პანდემიის ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების საარსებო სახსრების დაცვას.

საქართველოსთვის მსოფლიო ბანკის დაფინანსების პაკეტი დაახლოებით 200 მლნ. აშშ დოლარი იქნება, რასაც ემატება 300 მლნ. აშშ დოლარის დაფინანსებაც, რომლის გამოყოფაც დაგეგმილი იყო 2020-2021 წლებში ქვეყნის განვითარებისთვის საჭირო ისეთი მნიშვნელოვანი პროექტებისთვის, როგორებიცაა ციფრული კავშირი და ინფრასტრუქტურა, – აღნიშნა მსოფლიო ბანკის რეგიონულმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსმა.

– მსურს, განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტნიორები აქტიურად არიან ჩართულნი მოლაპარაკებებში საქართველოს მთავრობასთან პანდემიის დაწყების პირველი დღეებიდანვე. კიდევ ერთხელ ვუხდი მათ მადლობას უდიდესი მხარდაჭერისთვის. ასევე, გამოვყოფ მსოფლიო ბანკის როლს ამ პროგრამის მომზადებაში, ისევე, როგორც ზოგადად ჩვენი ქვეყნის განვითარებაში, – განაცხადა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა.

საქართველოში მიწისძვრა მოხდა

გუშინ, 29 აპრილს, 17:18 საათზე, საქართველოში მიწისძვრა მოხდა.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტი და სეისმური მონიტორინგის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრის ეპიცენტრი დაბა ქედასთან 6 კმ-ში, სოფელი ქოქოლეთიდან 2 კმ-ში დაფიქსირდა.

მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 3,9 მაგნიტუდა შეადგინა.



ნასვამმა დავით ცინარიძემ მეუღლე მ.ბ.-ს სცემა, მოკვლით დაემუქრა და ესროლა

საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსს ბრალი წაუყენეს

გუშინ, 29 აპრილს, საპატრულო პოლიციის ყოფილ უფროსს, დავით ცინარიძეს, ბრალი წაუყენეს.

ამასთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურატურამ განცხადება გაავრცელა.

უწყების ინფორმაციით, ცინარიძე დანაშაულის ჩადენის მომენტში ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

„მეუღლის მიმართ განხორციელებული ძალადობის და მუქარის ფაქტზე დ.ც.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და 126-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა.

გამოძიებით დგინდება, რომ 2020 წლის 27 აპრილს, ღამის საათებში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა დ.ც.-მ მეუღლეს მ.ბ.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა, რა დროსაც ცეცხლსასროლი იარაღიდან ერთჯერადად გაისროლა.

სამართალდამცველებმა დ.ც. შემთხვევის ადგილზე დააკავეს.

სისხლის სამართლის საქმეზე ჩატარდა ათეულობით საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები, მათ შორის გამოიკითხნენ მოწმეები, ამოღებულ იქნა გამოძიებისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებები, დაინიშნა ექსპერტიზები.

ბრალდების მხარემ 29 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოს, ბრალდებულ დ.ც.-სთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შუამდგომლობით მიმართა.

თბილისის საქალაქო სასამართლო აღკვეთი ღონისძიების საკითხზე 2020 წლის 30 აპრილს იმსჯელებს“ – აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

გუშინვე დავით ცინარიძის ადვოკატმა კახა ხვისტანმა ინტერპრესნიუსს უთხრა, რომ დავით ცინარიძისთვის ოჯახი წმინდაა და მისი ბრალის გარშემო საუბარი, მისი ზედმეტი დრამატიზირება არ სურს.

– ბრალდებულის დაკითხვა არ მომხდარა, შესაბამისად, ბრალდების მხარე არ დაინტერესებულა, ის თავს ცნობდა თუ არა დამნაშავედ. ბატონი დავითის განცხადებით, მისთვის ოჯახი არის წმინდა და მისი პირადი სივრცე, შესაბამისად, მისი სურვილია, ოჯახის თაობაზე ინფორმაცია არ გაავრცელოს არც თავად და არც მისმა ადვოკატმა. მოკლებული ვარ უფლებას, მისი ოჯახის წევრებთან მის ურთიერთობაზე მასმედიას რაიმე სახის ინფორმაცია მივაწოდო.

ბატონი დავითის სურვილია, ყველა და თვით საზოგადოებაც გამოძიების საბოლოო შედეგს დაელოდოს. დარწმუნებული ვართ, ბატონი დავითის მიმართ ბრალდების დადასტურება არ მოხდება და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ან შეწყდება, ან გამამართლებელი განაჩენი იქნება გამოტანილი, – განაცხადა ხვისტანმა.

მისივე განმარტებით, საქმეში არსებული მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველს არ იძლევა.

– ბატონი დავითი ყველას სთხოვს, ვისაც ეს თემა აინტერესებს, გამოძიების საბოლოო შედეგს დაელოდოს, რომელიც ამ კითხვაზე, აღიარებს თუ არა ის ბრალს, უფრო მნიშვნელოვან კითხვაზე გასცემს პასუხს – ჩაიდინა თუ არა მან ეს დანაშაული. მიგვაჩნია, რომ საზოგადოებისთვის პრიორიტეტული უნდა იყოს, პოლიციის ყოფილმა მაღალჩინოსანმა, რომლის რეპუტაციაც ყოველთვის შეუბღალავი იყო, ჩაიდინა თუ არა დანაშაული.

ბატონი დავითი საზოგადოებას, ყველას ბოდიშს უხდის, რომ ამ ყველაფერზე ამხელა აჟიოტაჟი ატყდა. ვიმეორებ, მეუღლე და მისი ოჯახი მისთვის ყველაზე წმინდანები, ყველაზე საყვარელი ხალხია და არ სურს ამ თემის ზედმეტი დრამატიზირება, – აღნიშნა ხვისტანმა.

მან კითხვას, თუ ვისი მხრიდან მოხდა სამართალდამცავებისთვის შესაძლო დანაშაულის ჩადენის შეტყობინება, პასუხი არ გასცა.

„მამა დავით კობაიძე მამა საბასთვის სროლას ფიზიკურად ვერ მოასწრებდა“

ყინწვისის მამათა მონასტრის წინამძღვარს პატიმრობა შეეფარდა

გუშინ, 29 აპრილს, ყინწვისის მამათა მონასტრის დაკავებულ წინამძღვარს, მამა დავით (კობა) კობაიძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გორის რაიონულმა სასამართლომ გამოაცხადა. სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარე დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას, დაცვის მხარე კი მამა დავით კობაიძის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა. სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

დაკავებული სასულიერო პირი დუმილის უფლებას იყენებს. მისი ადვოკატის, ალექსანდრე კობაიძის განცხადებით, საქმის მასალებში არც ცეცხლსასროლი იარაღია ამოღებული და არც მოწმეები არიან.

მამა დავით (კობა) კობაიძეს ბრალი ოფიციალურად 28 აპრილს წაუყენეს. გამოძიების ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ, დაკავებულმა დავით (კობა) კობაიძემ გორის რაიონის სოფელ რიეთის საავტომობილო გზაზე გადაადგილებისას, სავარაუდოდ, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა დაზარალებულის მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანას, რის შემდგომაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სასულიერო პირი განზრახ მკვლელობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გრძელდება, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვას გულისხმობს.

სასამართლოს შემდეგ კომენტარი ადვოკატმა ალექსი კობაიძემ გააკეთა.

– ალბათ, მოსამართლე პატიმრობის შეფარდებისას დაეყრდნო იმას, რომ საქმე გახმაურებულია და ვერ გარისკა სასულიერო პირი გამოეშვა, – უთხრა მან ინტერპრესნიუსს.

როგორც კობაიძემ განაცხადა, საქმეში არ არსებობს არც შესაძლო დანაშაულის ჩადენის იარაღი და არც მოწმეები.

– ადამიანები ხომ უნდა საუბრობდნენ საქმესთან დაკავშირებით? ვიდეომტკიცებულება ან სხვა რაიმე მტკიცებულება ხომ უნდა იყოს, რომ ამ ადამიანმა კონკრეტული ქმედება, დანაშაულებრივი ფაქტი შესაძლოა ჩაიდინა?! ასეთი რამ საქმეში არ არის.

მესმის, რომ ე.წ. ორთვიან პატიმრობას უფარდებენ, მაგრამ ეს დაბალი სტანდარტიც იმდენად არ არის მამა დავითის საქმეში, რომ ძალიან მეუცნაურა ეს ყოველივე.

სად არის ავტომატი, რაზეც პროკურატურა საუბრობს? თავად ფაქტიც 20 აპრილს მოხდა, კაცს აკავებენ 7 დღის შემდეგ. ამ 7 დღის განმავლობაში არც მოწმეებზე მოუხდენია ზემოქმედება, არც მიმალულა, ახლა გაჩნდა ეს საფრთხეები, რომ მიიმალება და მოწმეებზე მოახდენს ზემოქმედებას? ეს ხომ აბსურდია?! – განაცხადა კობაიძემ.

ამასთან, ადვოკატის ინფორმაციით, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხზე იმ მოსამართლემ იმსჯელა, ვინც მამა დავითის დაკავების განჩინება გამოსცა.

– აქ ყველაფერი ნათქვამი იყო. ბატონმა კუპრეიშვილმა იმსჯელა ისევ ამ სხდომაზეც. ადვოკატები ველოდებოდით, რომ მისივე გამოცემულ განჩინებას შეცვლიდა, მაგრამ ეს არ გააკეთა. მხარეებს მოგვისმინა და ადგილზე თათბირით მიიღო გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებას აუცილებლად გავასაჩივრებთ, – განაცხადა კობაიძემ.

საქმეზე შემდეგი სასამართლო სხდომა 22 ივნისს არის ჩანიშნული.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევის 87 ფაქტი გამოავლინა

პოლიცია, საქართველოს მთავრობის მიერ საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ზომების მნიშვნელოვანი გამკაცრების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების მოთხოვნების აღსრულების და ე.წ. კომენდანტის საათის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვების დამრღვევი პირების გამოვლენის მიზნით, 24-საათიან რეჟიმში მუშაობას განაგრძობს. შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფების თანამშრომლები, ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების აღკვეთისა და პრევენციის მიზნით, სამართალდარღვევის ყველა ფაქტზე ოპერატიულად რეაგირებენ.

ბოლო 24 საათის განმავლობაში, სამართალდამცველების მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის და ე.წ. კომენდანტის საათის შეზღუდვების დარღვევის 87 ახალი ფაქტი გამოვლინდა.

პოლიციამ, 28 აპრილის 21 საათიდან 29 აპრილის დილის 6 საათამდე, ე.წ. კომენდანტის საათის დარღვევის ფაქტზე, მთელი ქვეყნის მასშტაბით 70 მოქალაქე დააჯარიმა.

სამართალდამცველებმა მგზავრთა გადაყვანისა და ავტომობილით გადაადგილების წესის დარღვევის ფაქტზე კიდევ 1 პირი დააჯარიმეს.

გარდა ამისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, საჯარო სივრცეში 3-ზე მეტი პირის შეკრების და 2-მეტრიანი სოციალური დისტანციის დაუცველობის გამო, სულ 16 მოქალაქე დააჯარიმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრო კვლავ მოუწოდებს მოქალაქეებს, დაიცვან საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში დაწესებული შეზღუდვები, წინააღმდეგ შემთხვევაში, გამოყენებული იქნება კანონით გათვალისწინებული, შესაბამისი ზომები.

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია, დაიცვას საგანგებო რეჟიმი და დაემორჩილოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მოქმედ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საგანგებო მდგომარეობის რეჟიმის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას – ფიზიკური პირის დაჯარიმებას 3.000 ლარით, ხოლო იურიდიული პირის – 15.000 ლარით.

სადაც ცული, იქაც წალდი

ახლა, როდესაც კორონა ვირუსმა შოკში ჩააგდო განვითარებული ქვეყნების სასურსათო პროგრამა, ნებისმიერი საღად მოაზროვნე დამიდასტურებს, რომ ეკონომიკურად ჩამორჩენილ ჩვენს ქვეყანას იგი ერთიათად დააწვება. ამის ერთადერთი მიზეზი ისაა, რომ ინტენსიურ მიმართულებას ამჯობინებდნენ ექსტენსიურ გზას. წყალში იყრებოდა მილიონობით მანეთი და ძირი ეთხრებოდა ქვეყნის სიძლიერეს.

წარუმატებელი მეცნიერები კი, რომლებიც ღიზიანდებოდნენ საკუთარი ფუჭი სამეცნირო შრომებით, არა მარტო ტაშს უკრავდნენ რეტროგრადობას, არამედ ლატენტური ხრიკებით ანადგურებდნენ გამოგონებებს.

აგრარულ საკითხებში კატასტროფული მდგომარეობაა მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს **სოფლის მეურნეობა ვერ ვითარდებოდა მცირემიწიანი ქვეყნის ინტერესებით და მიექანება უფსკრულისაკენ (ღმერთმა არა ქნას),** ამის ნათელი დადასტურებაა 5 მილიონი მოსახლეობიდან 1,5 მილიონის პურის ფულის საშოვნელად 9 მთას იქით გადახვეწა.

აღნიშნული პრობლემების გადაუწყვეტელობით მოსახლეობის 80% დღეს იკვებება უცხოეთიდან შემოტანილი პროდუქტით.

სამშობლოს დაკნინება გამოიწვია იმ ბიუროკრატიზმმა, რომელიც ერგასი წელია „ჩქეფით“ მოედინება და ჯერ კიდევ არსებობს ქვეყანაში. მაგალითისთვის „სტარტაპ საქართველო“ არაფრად აგდებს ინოვაციებს. მაშინ როცა, მისი უპირველესი მოვალეობა სიახლეების დაფინანსებაა. გულდასაწყვეტია ასევე პრემიერის თანაშემწის ეკონომიკურ საკითხებში ლილუაშვილის ქმედებაც, რომელსაც არ სურს საუბარი დიდ ეკონომიკური ეფექტის მქონე გამოგონებებზე.

მიუხედავად იმისა, მთავრობის თავმჯდომარე, ბუნებით რეფორმატორი ბატონი გიორგი გახარია, ერისა და ბერის გასაგონად, გულგასახარად აცხადებს: „ეს ქვეყანა ჩვენია და ყველას მოსავლელია“.

ძალდატანებით ნებისმიერი დარგის განვითარება რადგან შეუძლებელია, წამოჭრილი პრობლების გადაწყვეტის მაგისტრალური ხაზი კი ინტენსიფიკაციაა, რომელიც ჰაერივით სჭირდება ხვალინდელ საქართველოს და გამომგონებლის მორალური ვალდებულებაა, ხმა ამოიღოს ამ სასიცოცხლო პრობლემების გადაწყვეტაში. წარმოგიდგენთ შთაბეჭდილებას, თუ მისაღებად ჩამითვლით, ძალიან კარგი, თუ არა, წინაპრის ნათქვამს გავიმეორებ – სადაც ცული, იქაც წალდიო.

ადამიანების უმეტესობას ახასიათებს რა ბიუროკრატიზმი, კუშტობა, მით უმეტეს, თუ ის თანამდებობის პირია და მათთან მისვლა საზრიანად შეუძლებელია არა მარტო ამა თუ იმ პრობლების მოსაგვარებლად, არამედ ეროვნულ საკითხებზეც კი.

ამ ცოტა ერისკაცობის ჟამს, ფრიად მნიშვნელოვანი იქნება, სახელმწიფომ დააწესოს საქართველოს საამაყო შვილის წოდება და მიენიჭოთ პირებს განსაკუთრებული ცხოვრებისეული დამსახურებისათვის ღირსეული პრივილეგიებით.

ვგულისხმობ ჯანდაცვის კორიფეს, პროფესორ ამირან გამყრელიძეს, დიდებულ კალმის ოსტატს, პროფესორ რევაზ მიშველაძეს, მექანიზაციის ღვაწლმოსილ პროფესორ რევაზ მახარობლიძეს, ფრიად თვალსაჩინო მოღვაწეს გვანჯი მანიას და სხვათა ამნაირ სახიერების ერისკაცებს, რომლებიც იქნებიან სპეციალობების გათვალისწინებით სწრაფმავალი მედიატორები მთავრობასთან ახალი ინიციატივების, პრობლემების წარმოსაჩენად და გადასაწყვეტად.

მაგალითად, როგორც ეს ბატონმა ამირანმა წარმოაჩინა და მთავრობის სასახელოდ უნდა ითქვას, გვარდება კიდეც. ბატონი რევაზ მიშველაძე გააჟღერებს ერის საჭირბოროტო საკითხებს, როგორც არაერთხელ პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან. ბატონი რევაზ მახარობლიძე – მექანიზაციაში რევოლუციურ ძვრებს.

ვენახების მაღალ-დაბალი ფორმირების გაშენებით ტრაქტორმა დაბალ რიგს გადააბიჯოს და ერთი გავლით ორი რიგი დაამუშაოს, 50%-ით დაიზოგება მექანიზაციის ხარჯები. ფართორიგიანი ვენახების შემცირების ხარჯზე გამოთავისუფლდება 60.000 ჰა მიწა, რაც არის საფუძველი იმისა, რომ მიღებული იქნეს 300.000 ტონა ხორბალი, მართალია, გრძელვადიანი, მაგრამ, სამომავლოდ.

ერის საამაყო შვილები დაასაბუთებდნენ ეკონომიკურ დოქტრინას იმ სოფლებში დასაწესებლად, სადაც ყველაზე მეტი გაჭირვებაა, სესხის ნატურით დაფარვის გადასახადით ისეთი პროდუქტის წარმოებისთვის, რომელსაც სახელმწიფოს ხარჯზე მყოფი სტრუქტურები მოიხმარს. მაგ., ჯარი ყიდულობს ხორცს, კარტოფილს და ა.შ. მეწარმეს მიცემული სესხი გაექვითოს მის მიერ ჯარისთვის ჩაბარებული პროდუქციის თანხით. ნაწილი ერთ, ნაწილი, მეორე წელს და ა. შ. ამით 100.000 სოციალურად დაუცველი წელში გაიმართებოდა. სახელმწიფო სოციალურად დაუცველების დახმარებისგან განთავისუფლდებოდა, ყოველწლიურად ბიუჯეტი კი ხეირიანად დაიზოგებოდა (აღნიშნულ საკითხებს დაინტერესებული მკითხველი ვრცლად გაეცნობა მონოგრაფიაში: „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“ ბიბლუსის მაღაზიებში).

მაღალი და საამაყო წოდების მატარებელი ერისკაცების ქმედება იქნება იმდენად ნაყოფიერი, რომ სამარადისოდ დავამარცხებთ ბიუროკრატიზმს, რაც გახდება წარმატების საფუძველი და ახალგაზრდებიც მათი მაგვარი ზნეობრივი პათოსით სკოლის მერხიდან აღიზრდებიან სასიქადულო მამულიშვილებად.

ასე გადავაქცევთ ჩვენს ერთ მტკაველ, „უბედურ, მაგრამ მშვენიერ ქვეყანას“ მძლავრ წარმატებულ სახელმწიფოდ. დედამიწაზე გავრცელებულ გასაოცარ, ეპიდემიასაც მეტი წარმატებებით გავუმკლავდებით და აღარც შიმშილისა შეგვეშინდება.

საკვირველი აქ არაფერია, ვფიქრობ, უფრო გასაკვირი ისაა, რომ ვერ ვახერხებ 58 გამოგონების, 9 წიგნის, 100-ზე მეტი ეროვნული მნიშვნელობის სტატიის, 850 წლის რუსთაველისთვის მიძღვნილ 850 სტრიქონიანი პოემის, მრავალი იდეების ავტორი, ღირსებისა და ოქროს მედლების მფლობელი არა პრემიერთან, არამედ მის თანაშემწესთან მიღებას, მინისტრებთან, მათ მოადგილეებთან. მაშინ როცა, ვაზიც კი ვალაპარაკე.

ვაზი გამძლე ვარ გვალვისა, ეს ჩემი ფესვის არსია,
როგორც ვენახი კაცისთვის, ცხოვრების შინაარსია.
ამაყად დავძენ ნაღდია, აქ არაფერი ფარსია,
ვაზის და ღვინის ქვეყანა, კვლავ აყვავების ღირსია.

და იმ საუკუნეში აშშ შევხვედრივარ კონგრესმენებს, ისრაელში მთავრობის წევრებს, მიმასპინძლია პრეზიდენტ, ბ-ნ ედუარდ შევარდნაძისთვის, პრემიერ-მინისტრებისთვის, პარლამენტის თავმჯდომარისთვის, ელჩებისთვის, მათ შორის, ამერიკის. მოსკოვში მივუღივარ საკავშირო მინისტრებს, ბატონებს კონარევს, იევლევს და არა მარტო მივუღივარ, არამედ ვოლგებითაც დავუჯილდოებივარ.

უმორჩილესად ვთხოვ მკითხველს, წერილის არსი თუკი მისაღებია და შეგიძლიათ გააცნოთ ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას – მმართველ პარტიას და ამ პარტიისათვის გულანთებულ პარლამენტარებს.

პატივისცემით თამაზ ქვლივიძე
599 10 43 18

საფრანგეთი მწვანე და წითელ ზონებად დაიყოფა

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა შეზღუდვების შემსუბუქების ახალი გეგმა წარადგინა.

ედუარ ფილიპი აცხადებს, რომ შეზღუდვების შერბილების შემდეგი ეტაპიდან საფრანგეთი წითელ და მწვანე ზონებად დაიყოფა.

ბოლო 7 დღის განმავლობაში დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა, ადგილობრივი ინტენსიური თერაპიის განყოფილების შესაძლებლობები და ადგილობრივი ტესტირებისა და კონტაქტების მოკვლევის შესაძლებლობები ის კრიტერიუმებია, რომლებითაც ზონების დაყოფა მოხდება.

თუ ადმინისტრაციული რეგიონი წითელ ზონაში მოხვდება, ეს ნიშნავს, რომ შეზღუდვები უფრო მკაცრი იქნება.

– შეზღუდვების შემსუბუქების ახალ ეტაპზე მნიშვნელოვანია სწორად შერჩეული სამოქმედო გეგმა, ჩვენი მიზანია, მთელი ქვეყნის მასშტაბით, რეგიონები დავყოთ წითელ და მწვანე ზონებად, შესაბამისად, გატარდება რეგულაციებიც, ზონებს, რომლებიც აღინიშნება წითლად, მკაცრი საკარანტინო რეგულაციები ელის, ასეთი მეთოდით უნდა მოვახერხოთ კოვიდ 19-ის პანდემიის სრულად დამარცხება, – განაცხადა ედუარ ფილიპმა.

ტრამპი: „კორონავირუსი გაქრება, პანდემიის ყველაზე ცუდი დღეები გადავიარეთ“

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ კორონავირუსის ყველაზე უარესი დღეები შეერთებულ შტატებში დასრულდა.

როგორც პრეზიდენტმა სამშაბათს თეთრ სახლში განაცხადა, ის ფიქრობს, რომ ვირუსი „გაქრება“.

– ჩვენი ექსპერტები თვლიან, რომ პანდემიის ყველაზე ცუდი დღეები უკან დარჩა, – აღნიშნა ტრამპა.

ჟურნალისტებმა მას ჰკითხეს, როგორ შეიძლებოდა დარწმუნებით ამის თქმა, როდესაც ქვეყანა თავიდან იწყებს გახსნას.

– ვფიქრობ, ვირუსი გაქრება. ის აპირებს გაქცევას, – აღნიშნა პრეზიდენტმა და დასძინა, – და თუ დაბრუნდება იგი შემოდგომაზე შეცვლილ ფორმაში, ჩვენ შევძლებთ გავუმკლავდეთ. ჩვენ მომზადებული ვართ.

ბაიდენი ტრამპს 8%-ით უსწრებს

აშშ-ის კონგრესის სპიკერმა ნენსი პელოსიმ განაცხადა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს ჯო ბაიდენს დაუჭერს.

– დარწმუნებული ვარ, რომ ის ღირსეული კანდიდატი იქნება, – თქვა პელოსიმ.

კონგრესის სპიკერის გარდა, ბაიდენს მხარი ჰილარი კლინტონმაც დაუჭირა. მან განაცხადა, რომ ბაიდენი სწორედ ის ფიგურაა, ვინც დღეს აშშ-ს სჭირდება

ამ დროისთვის ბაიდენი ტრამპს 8%-ით უსწრებს. თუმცა არჩევნებამდე ჯერ კიდევ შორია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ქალეიდოსკოპი

ლომებმა ლეოპარდის ნადავლის მოპარვა ცადეს

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტების თვალწინ ლომები შეეცადნენ, ლეოპარდის ნადავლი, მეჭეჭებიანი გარეული ღორი მოეპარათ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ორი ლომის ყურადღება მიიპყრო საშუალო სიმაღლის ხემ. მათ შენიშნეს, რომ მის ტოტებზე მოთავსებული იყო მეჭეჭებიანი გარეული ღორი, რომელიც გარკვეული დროის წინ ლეოპარდმა მოკლა და შემდეგ ხეზე აათრია. თავად ლეოპარდი ახლომახლო არ ჩანდა და ლომებმაც გადაწყვიტეს, ამით ესარგებლათ.

ერთ-ერთმა მათგანმა მოისურვა, ლეოპარდის ნადავლს დაჰპატრონებოდა და ხეზე აძვრა. მეორე ქვევით დარჩა და იქიდან ადევნებდა თვალს. ლომი ადვილად აძვრა ხეზე, ერთ-ერთ ქვედა ტოტზე მოკალათდა და შეეცადა, იქიდან მისწვდომოდა მკვდარ ცხოველს. ეს იმაზე უფრო რთული გამოდგა, ვიდრე მას წარმოედგინა. რამდენიმე წამის შემდეგ ლომი იძულებული გახდა, ხელცარიელი მიწაზე ჩამომხტარიყო. ლეოპარდის მონადირებული გარეული ღორი კი ადგილზე დარჩა.

ვეფხვებმა რამდენიმე დღეში ხუთი ადამიანი დახოცეს

ინდოეთის მახარაშტრას შტატში ვეფხვებმა რამდენიმე დღეში ხუთი ადამიანი სიცოცხლეს გამოასალმეს.

მტაცებლების უკანასკნელი მსხვერპლი გადჩიროლის ოლქის მკვიდრი 52 წლის ქალი გახდა, რომელიც 24 აპრილს დაიღუპა. ხუთი დღით ადრე ვეფხვმა ბხანდარას ოლქის მკვიდრი 38 წლის ქალი მოკლა. ის ტყეში საკვებად გამოსაყენებელი ყვავილების შესაგროვებლად იყო წასული. მართალია, ქალს მეუღლე ახლდა, მაგრამ მამაკაცმა მისი გადარჩენა ვერ შეძლო. ვეფხვებმა გონდიას ოლქში 32 წლის ქალი მოკლეს, ხოლო გადჩიროლის ოლქში – 40 წლის მამაკაცი. ეს დაღუპული ადამიანებიც ტყეში საკვებად გამოსადეგი ყვავილების შესაგროვებლად იმყოფებოდნენ. უფრო ადრე ვეფხვმა პენჩის ტყის მახლობლად, რომელიც ვეფხვების ნაკრძალს წარმოადგენს, მამაკაცი დაგლიჯა.

მსგავსი ვითარებაა მადხია-პრადესი შტატშიც. ერთ-ერთმა ადგილობრივმა გამოცემამ გავრცელა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, გარეული ცხოველების თავდასხმის შედეგად ამ შტატში უამრავი ადამიანი დაიღუპა. სამი კვირის განმავლობაში მტაცებლებმა 13 ადამიანი დახოცეს, მათ შორის – რამდენიმე ბავშვი.

ზვიგენმა ქალი დაკბინა

ავსტრალიის ტასმანიის ზღვის სანაპიროზე, სოფელ კრესენტ-ჰედის მახლობლად, ქალი ზვიგენის თავდასხმის შედეგად დაშავდა.

ქალი დილის საათებში კილიკ-კრიკში ცურავდა, როდესაც მას თავს ზვიგენი დაესხა. იქვე ახლოს მყოფმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ქალბატონმა განაცხადა, რომ მისმა შვილმა წყალში მტაცებელი თევზის ზურგის ფარფლი შენიშნა. ქალზე თავდასხმის შემდეგ ზვიგენი სანაპიროსთან თავთხელში ცურვას აგრძელებდა.

ზვიგენის ნაკბენმა ქალს ფეხზე ოთხი ღრმა ნაფლეთი ჭრილობა დაუტოვა. თვითმხილველებმა დაშავებულს ჭრილობა გადაუხვიეს, რის შემდეგაც საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ადგილობრივი სამაშველო სერფერების კლუბის წარმომადგენლები ფიბი უილიამსი და ჯაი პალაისი შემთხვევის ადგილზე მივიდნენ და მოცურავეებისთვის პლაჟი დახურეს. მაშველებმა დაადასტურეს, რომ ბოლო კვირის განმავლობაში რამდენიმეჯერ შენიშნეს ზვიგენები, ვინაიდან წლის ამ დროს ამ ადგილზე უამრავი კეფალი იყრის თავს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

● ვაქირავებ 2-ოთახიან, კეთილმოწყობილ, იზოლირებულ ბინას სტუდენტი გოგონასთვის. მისამართი: ნინოშვილის 57/კონსტიტუციის 13. ტელ.: 599-294-293.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● სექსუალური აშლილობებით დაავადებულთა მკურნალებს: შევწყვიტე რა პაციენტების მიღება, შემომრჩა „ერექტორები“, რომელიც აწესრიგებს სექსუალურ შეუთავსებლობებს წყვილთა შორის და თვით სქესობრივად უძლურ მამაკაცებშიც. „ერექტორის“ შესახებ ცნობები შეტანილია უროლოგიისა და სექსოლოგიის სახელმძღვანელოებში. იყიდება სიმბოლურ ფასად. ტელ.: 593-60-60-44; 299-95-33. იკითხეთ ექიმი მერაბი.

მამაკაცმა მცენარეული ნარჩენების გროვაში ძველი მოტოციკლი იპოვა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა კრის ჰოპკინსმა ძველი მოტოციკლი სასუქად განკუთვნილი მცენარეული ნარჩენების გროვაში აღმოაჩინა. მამაკაცმა ის შემთხვევით თავის ბაღის ნაკვეთში იპოვა, რომელსაც რვა წელია ფლობს.

51 წლის ბრიტანელის თქმით, ის თავის ორ ქალიშვილთან, ნატაშასა და სკარლეტთან ერთად ბაღში აგებდა ალპურ გორაკს – კომპოზიციას ქვებისა და მცენარეებისგან. მის შესაქმნელად მამაკაცს ნოყიერი ნიადაგი სჭირდებოდა და გადაწყვიტა, ის თავისი ნაკვეთიდან აეღო, სადაც მისი ადრინდელი მფლობელები მცენარის ნარჩენებს ყრიდნენ.

დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეში ის ლითონის ბორბალს გადააწყდა. კაცმა და მისმა გოგონებმა იფიქრეს, რომ ბავშვის ძველი ველოსიპედი იპოვეს, თუმცა რამდენიმე წუთის შემდეგ მათ „პუჩის“ მარკის მთელი მოტოციკლი ამოთხარეს.

– თუ მისი მდგომარეობითა და ჩემ მიერ ინტერნეტში მოძიებული ინფორმაციით ვიმსჯელებთ, ის 1960-იანი წლების ბოლოსა და 1970-იანი წლების დასაწყისში გამოდიოდა, – განაცხადა ბრიტანელმა.

მოტოციკლის თავის ნაკვეთზე გამოჩენის საიდუმლოს ამოსახსნელად ჰოპკინსმა მეზობლები გამოჰკითხა. ერთ-ერთმა მათგანმა უთხრა, რომ ნაკვეთის ადრინდელი პატრონების ხელში მოტოციკლი არასოდეს უნახავს. ჰოპკინსმა წამოაყენა ვერსია, რომ მოტოციკლი მოპარული იყო. ქურდებმა ის მის ნაკვეთში მიატოვეს.

– შესაძლოა, მათ ის დაავიწყდათ ან ისინი დაიჭირეს, – ივარაუდა ჰოპკინსმა.

ინგლისელმა დურგალმა ლატარიაში ათეულობით მილიონი მოიგო

ინგლისის დიდი მანჩესტერის საგრაფოს ქალაქ როჩდეილის მცხოვრებმა ევრომილიონის ლატარია ითამაშა და მთავარი პრიზი მოიგო.

დურგალმა რაიან ჰოილმა, მულტიმილიონერი რომ გახდა, 18 აპრილის დილით შეიტყო. ის ელექტრონულ ფოსტაზე შევიდა და აღმოაჩინა, რომ 58 მილიონი ფუნტი სტერლინგი ჰქონდა მოგებული. ჩვეულებრივ 38 წლის ბრიტანელი ლატარიის ბილეთებს სუპერმარკეტში ყიდულობდა, მაგრამ კორონავირუსის გამო თვითიზოლაციის პირობებში გადაწყვიტა, ბედი ონლაინ რეჟიმში ეცადა.

– მომხდარს ვერ ვიჯერებდი. ვინმესთვის უნდა მეთქვა ეს ახალი ამბავი და ამიტომ მშობლებს დავურეკე, – იხსენებს ჰოილი, – ერთიანად მაკანკალებდა. მანქანაში ჩავხტი და მშობლების სახლისკენ გავემგზავრე. უსაფრთხოების წესებს ვიცავდი და სოციალურ დისტანციას არ ვარღვევდი. ჩემი ტელეფონი ფანჯარაში მივაწოდე და ვთხოვე, რომ გათამაშების შედეგი თავად შეემოწმებინათ. მათ შედეგები სხვა ვებ-გვერდზეც კი გადაამოწმეს და აღმოჩნდა, რომ მართლა 58 მილიონი ფუნტი მქონდა მოგებული.

იმავე დღეს იღბლიანი დურგალი თავის ძმებს შეხვდა. საჭირო მანძილის დაცვით მათ სასიხარულო ამბავი თითო ბოთლი ლუდის დალევით აღნიშნეს.

– უბრალოდ, მარტო ყოფნა არ შემეძლო. ერთმანეთისგან ორ მეტრზე მეტი მანძილით დაშორებულები ვისხედით. მე მათი აზრის გაგება და რჩევის მიღება მინდოდა. ეს შეხვედრა ემოციების მოთოკვაში დამეხმარა, – განმარტა ჰოილმა.

ბრიტანელს ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა მუშაობას, თუმცა აღებული შეკვეთების დასრულების პირობა დადო. მოგებული ფულით ის ახალი მანქანის ყიდვას, სახლის აშენებას და თავისი პატარა ქალიშვილის „უოლტ დისნეის მსოფლიო დასვენების ცენტრში“ წაყვანას გეგმავს, რომელიც ამერიკის ფლორიდის შტატში მდებარეობს.

– მთელი ფულის საკუთარ თავზე დახარჯვას არ ვაპირებ. მინდა დავეხმარო ოჯახს და ახლო მეგობრებს. დედა ადგილობრივ სკოლაში დამლაგებლად მუშაობს. კარგი იქნება თუ პენსიაში დროზე ადრე გავა, – განაცხადა ჰოილმა.

ქალეიდოსკოპი

ქალი მეზობელს დაეხმარა და გამდიდრდა

ამერიკის დელავერის შტატის ქალაქ უილმინგტონის მკვიდრმა ქალბატონმა იმ დროს, როდესაც მეზობელს ეხმარებოდა, ლატარია ითამაშა და მოულოდნელად გამდიდრდა.

52 წლის ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ მეზობლის თხოვნით სუპერმარკეტში საყიდლებზე წავიდა.

– მაღაზიაში შესულმა, გავიფიქრე, რომ ბარემ ორი ცალი ლატარიის ბილეთი შემეძინა, – იხსენებს ამერიკელი ქალბატონი.

აზარტული თამაშების მოყვარულმა მომენტალური ლატარიის ორი ბილეთი შეიძინა და ერთ-ერთმა მათგანმა მას მოულოდნელად სიმდიდრე მოუტანა. მოგებულმა თანხამ 250 ათასი დოლარი შეადგინა.

– ძალიან გამიკვირდა, – აღიარა ლატარიის გამარჯვებულმა, – იმ დღეს მაღაზიაში წასვლას საერთოდ არ ვაპირებდი.

მოგებული ფულით ქალი ახალ სახლში გადასვლასა და ინვალიდის მანქანის შეძენას გეგმავს.

გოგონამ საჩუქრად მიღებული ფული შეცდომით სანაგვეში გადააგდო

მენაგვეები დაეხმარნენ ინგლისის ნორტ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ იარმის მკვიდრს ნაგავსაყრელზე ფულით სავსე კონვერტის მოძებნაში, რომელიც მან შეცდომით ნაგვის ყუთში ჩააგდო.

ბრიტანელი გოგონა კეინა ჯექსონი თვრამეტი წლის იუბილეს ზეიმობდა. მშობლებისგან საჩუქრად მან 450 ფუნტი სტერლინგი მიიღო თვითიზოლაციის რეჟიმის გაუქმების შემდეგ მოგზაურობისთვის. უყურადღებობის შედეგად იუბილარმა სანაგვეში შეფუთვასთან ერთად კონვერტიც ჩაგდო, რომელშიც ფული იდო.

როდესაც ოჯახში ამ შეცდომას მიხვდნენ, უკვე გვიან იყო. ნაგვის მანქანას ნაგვის ყუთი უკვე ნაგავსაყრელზე ჰქონდა მიტანილი. გოგონას დედამ ლიენ ბესტმა ქალაქის საბჭოში დარეკა და დახმარება ითხოვა.

– ქალაქის საბჭოში მიპასუხეს, რომ შეეცდებოდნენ ყველაფერი გაეკეთებინათ, რაც კი შეეძლოთ. მაშინ მე უკვე ფულს გონებრივად დავემშვიდობე და შევეცადე საკუთარი თავი დამერწმუნებინა, რომ ეს უბრალოდ ქაღალდები იყო და მეტი არაფერი, – განაცხადა ლიენმა.

როდესაც მომხდარის შესახებ შეიტყვეს ნარჩენების გადაზიდვის ადგილობრივი სამსახურის თანამშრომლებმა, გადაწყვიტეს, გოგონას დახმარებოდნენ. რამდენიმე საათის ძებნის შემდეგ მათ გადაგდებულ ფულიან კონვერტს მიაგნეს. იმავე საღამოს გოგონას სახლში მიაკითხეს და დაკარგული საჩუქარი დაუბრუნეს. ოჯახი მათ მქუხარე აპლოდისმენტებით შეხვდა.

– დაუჯერებელია, მათ გამონახეს იმის დრო, რომ ტონობით ნაგავი გადაექექათ და დაკარგული ფული დაებრუნებინათ, ჩვენ მათ შრომას ვაფასებთ, – აღნიშნა ლიენ ბესტმა.

მარტორქების ჩხუბი ვიდეოზე გადაიღეს

სამხრეთ აფრიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ორი თეთრი მარტორქის ორთაბრძოლის თვითმხილველები გახდნენ. თვითმხილველის მიერ გადაღებული კადრები იუთუბში პარკის გვერდზე გამოქვეყნდა.

ორმა მამრმა მარტორქამ ორთაბრძოლა პირდაპირ გზაზე გამართეს. ისინი რამდენიმე წუთის განმავლობაში ერთმანეთს რქენდნენ, სანამ ერთ-ერთმა მეორე გზიდან არ გადააგდო. ამის შემდეგ მარტორქებმა როლები გაცვალეს. მეორე ცხოველი კონტრშეტევაზე გადავიდა, ისევ გზაზე ამოვიდა და მეტოქე ბუჩქებში შეაგდო.

თეთრი მამრი მარტორქები ერთმანეთს შესაძლოა ტერიტორიის ან მდედრის გამო დაუპირისპირდნენ, ხოლო ასეთ დროს მიღებული ტრავმები ზოგჯერ დაშავებულის დაღუპვის მიზეზი ხდება, თუმცა უმეტეს შემთხვევაში დამარცხებული ცხოველი ასწრებს, რომ თავს გაქცევით უშველოს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საფრანგეთი დასრულდა, ესპანეთმა და ინგლისმა განახლება დაგეგმეს

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრ ედუარ ფილიპის განცხადების შემდეგ, რომ ქვეყანაში პროფესიული სპორტი სექტემბრამდე იქნება გაჩერებული, ნათელი გახდა, რომ კორონავირუსის გამო საფრანგეთში ჩემპიონატის ვადამდე დასრულების გადაწყვეტილება მიიღეს.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაცია ჩემპიონატის შედეგებს, იმას, თუ ვის აღიარებენ ჩემპიონად, რომელი გუნდები იასპარეზებენ ევროტურნირებზე, რომლები დაქვეითდებიან ლიგა 2-ში და რომლები აღზევდებიან ლიგა 1-ში, მაისში განიხილავს.

არადა, კლუბებს 11 მაისის შემდეგ ვარჯიშის გაგრძელება სურდათ, მაგრამ საფრანგეთის მთავრობის პრიორიტეტი სულაც არ არის პროფესიული სპორტის განახლება.

არის კიდევ ერთი დეტალი – ფრანგებს ევროტურნირებზე პარი სენ ჟერმენი ჰყავს შემორჩენილი, ხოლო უეფა ჩემპიონთა ლიგის განახლებას აგვისტოში გეგმავს. აქედან გამომდინარე, პარიზული გუნდი ჩემპიონთა ლიგის მატჩებს საკუთარ მოედანზე ვერ ჩაატარებს.

ნასერ ელ ჰელაიფი, პსჟ-ს პრეზიდენტი:

– ჩვენ პატივს ვცემთ მთავრობის გადაწყვეტილებას. ამ სეზონში ჩემპიონთა ლიგის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება გვსურს. თუ საფრანგეთში თამაშის უფლებას არ დაგვრთავენ, მზად ვართ, საზღვარგარეთ ვითამაშოთ.

გეტყვით იმასაც, რომ საფრანგეთის ჩემპიონატზე 28 ტური გაიმართა, ლიდერი პსჟ უახლოეს მდევარს, მარსელს 12 ქულით უსწრებს, ამასთან, 1 მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

როგორც გახსოვთ, საფრანგეთამდე ჩემპიონატის შეწყვეტაზე ოფიციალური განცხადება ნიდერლანდებმაც გააკეთა.

მათგან განსხვავებით, ესპანეთის პირველობა ვადამდე არ დასრულდება.

როგორც ირკვევა, ლა ლიგას განახლება 5 ან 12 ივნისსაა დაგეგმილი. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად ჩადგებიან გუნდები ფორმაში.

პრიმერა დივიზიონის გუნდები ვარჯიშს 4 მაისს დაიწყებენ. ფეხბურთელები კლუბების საწვრთნელ ბაზებზე ინდივიდუალურად ივარჯიშებენ. ბაზაზე ფეხბურთელთა და თანამშრომელთა რაოდენობა შეზღუდული იქნება. 18 მაისიდან ფეხბურთელებს მცირე ჯგუფებით ერთობლივად ვარჯიშის ნებას დართავენ.

მეტიც, ლა ლიგას პრეზიდენტი ხავიერ ტებასი საფრანგეთის ჩემპიონატის ვადამდე დასრულებამ აღაშფოთა.

ხავიერ ტებასი:

– ლა ლიგას პროტოკოლის დაცვით, უმაყურებლოდ თამაში უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ფაბრიკაში მუშაობა. კონტროლირებადი და უსაფრთხო ეკონომიკური მოღვაწეობა აღორძინებისათვის მნიშვნელოვანია, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური სექტორები შეიძლება გაქრნენ. ეს შეიძლება პროფესიულ ფეხბურთსაც დაემართოს. 27 მაისს ჩასატარებელი აღმასრულებელი კომიტეტის კრებამდე გეგმების წარსადგენად კიდევ არის დრო. სეზონის განახლება ივნისის ბოლომდე შესაძლებელია. საფრანგეთმა წინდაუხედავი ნაბიჯი გადადგა. ევროპაში, ესპანეთის გარდა, სხვა ქვეყნებშიც აპირებენ თამაშს. ისინი ღონისძიებების განახლებას იწყებენ. მაგალითად, გერმანია.

კორონავირუსის გამო შეჩერებული ინგლისის პრემიერლიგა 13 ივნისს განახლდება – ამის შესახებაც აქტიური საუბარი მიდის.

კლუბებმა შეტყობინებები უკვე მიიღეს. ახლა ჩემპიონატის განახლების ნებართვა ბრიტანეთის მთავრობამ უნდა მისცეს. თუ ასე მოხდა, გუნდები ვარჯიშებს 11 მაისს დაიწყებენ.

ბრიტანულ მედიას მიაჩნია, რომ ერთადერთი პრობლემა ლივერპულია, რომელიც 30 წლის შემდეგ პრემიერლიგის მოგებასთან ძალიან ახლოსაა და, შესაძლოა, ოქროს მედლების მოპოვების აღსანიშნავად გულშემატკივრები ქუჩებში მასობრივად გამოვიდნენ.

ლივერპულს პრემიერლიგის მოგებამდე 11 მატჩში 2 გამარჯვება აშორებს.

ტოკიოს ოლიმპიური თამაშები, შესაძლოა, ჩაიშალოს

იაპონიის ექიმთა ასოციაციის ხელმძღვანელის იოსიტაკე იოკოკურას განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუ მომავალი წლის ზაფხულისთვის კორონავირუსის ვაქცინა არ იქნება შემუშავებული, ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ორგანიზება გართულდება.

იოსიტაკე იოკოკურა:

– ჩემი აზრით, თუ ეფექტური ვაქცინა არ გვექნება, ოლიმპიური თამაშების ჩატარება რთული იქნება. არ ვამბობ, რომ თამაშები არ უნდა ჩატარდეს. ვამბობ, რომ ეს იქნება რთული ამოცანა. ამიტომაც წამლის და ვაქცინის შექმნა უნდა ვიჩქაროთ.

კიდევ უფრო მკაცრი გამოდგა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის, იოშირო მორის განაცხადება. თუკი კორონავირუსის პანდემია მომავალი წლის ზაფხულისთვის დასრულებული არ იქნება, შესაძლოა, ერთი წლით გადავადებული თამაშები, რომელიც 2020 წლის ნაცვლად, 2021-ში უნდა გაიმართოს, საერთოდ გაუქმდეს.

იოშირო მორი:

– ოლიმპიადა წარსულშიც გაუქმებულა ისეთი პრობლემის გამო, როგორიც არის ომი. დღეს ჩვენ უხილავი მტრის წინააღმდეგ ვიბრძვით.

აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც იაპონიის ოფიციალური პირები ოლიმპიადის შესაძლო გაუქმებაზე საუბრობენ. აქამდე ისინი თამაშების მომავალზე მსგავსი განცხადებების ღიად გაკეთებას ერიდებოდნენ.

როგორც იცით, იაპონიის დედაქალაქს ოლიმპიადისთვის 2020 წლის 24 ივლისიდან 9 აგვისტოს ჩათვლით უნდა ემასპინძლა, მაგრამ მისი გადავადება საჭირო კორონავირუსის პანდემიის გამო გახდა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით, თამაშები 2021 წლის 23 ივლისიდან 8 აგვისტოს ჩათვლით უნდა ჩატარდეს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ოთხმეტრიანი ნიანგი მეთევზეზე თავდასხმის შემდეგ დაიჭირეს

ინდონეზიის პროვინცია რიაუში კუნძულ სუმატრაზე ოთხმეტრიანი კაციჭამია ნიანგი მოკლეს, რომელიც მეთევზეს თავს დაესხა.

მტაცებელი რეპტილია 55 წლის შაფრის და მის მეგობარ ტოხას თავს იმ დროს დაესხა, როდესაც ისინი მდინარეში სათევზაო ბადეს დგამდნენ. ტოხამ ნიანგისგან თავის დაღწევა მოახერხა, თუმცა მეგობრის დახმარება თავად ვერ შეძლო და სოფლის მცხოვრებლებს საშველად უხმო. ისინი სამხედროებთან და პოლიციელებთან ერთად მდინარეს დაღამებამდე ჩხრეკდნენ.

მეორე დღეს, დილით, თავდასხმის ადგილიდან შორიახლოს ჭაობში მამაკაცის ფეხი იპოვეს. ამის შემდეგ ადგილობრივებმა კანოეთი ჭაობის შენაკადები შემოიარეს და მდინარის ვიწრო წელში ბადეები ჩადგეს. შედეგად ნიანგის დაჭერა მოხერხდა. მას მუცელი გაუფატრეს და მასში დაღუპული მეთევზის თავი და სხეულის სხვადასხვა ნაწილები იპოვეს.

ობობამ პენსიონერის ყურში ქსელი გააბა



ჩინეთის სიჩუანის პროვინციის ქალაქ მიანიანში ექიმებმა ხანდაზმული პაციენტი ქალის ყურიდან ობობა ამოიყვანეს, რომელიც იქ მთელი კვირა ბინადრობდა.

ხანდაზმულმა ქალმა ექიმს ყურის ქავილისა და მწვავე ტკივილის ჩივილით მიმართა. პენსიონერმა ასევე განაცხადა, რომ ყურში შუილები ჰქონდა.

გამოკვლევის შედეგად ყელ-ყურ-ცხვირის ექიმმა ლიუ ცზიუნმა მისი ყურის შიდა ნაწილში ობობა აღმოაჩინა, რომელსაც იქ ქსელი ჰქონდა გაბმული. ექიმმა მწერი ყურის წვეთების დახმარებით გათიშა და შემდეგ მიკროპინცეტის დახმარებით ამოიღო.

ხანდაზმულ ქალს ყური არ დაზიანებია, ის სპეციალური ხსნარით დაუმუშავეს. პენსიონერის ვარაუდით, ალბათ ობობა ყურში იმ დროს შეუძვრა, როდესაც ის ვენახში მუშაობდა.

ქალეიდოსკოპი

იშვიათი სახეობის ზვიგენმა მეთევზეები შეაშინა

ნორმანდიის კუნძულების მახლობლად ორმა მეთევზემ ვიდეოზე გადაიღო, თუ როგორ მიცურდა მათთან 2,5 მეტრნახევრიანი უიშვიათესი ქაშაყის ზვიგენი. ამის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

23 წლის პროფესიონალი მეთევზე ბრენდონ ლია ტუჩე და მისი თანაშემწე პარი ბრო-ბუგური კუნძულ გერნსიდან 19 კილომეტრში თევზაობდნენ.

ისინი ცდილობდნენ თევზებისთვის 70 მეტრის სიღრმეზე ექოლოკატორის დახმარებით მიეკვლიათ. როდესაც მოწყობილობამ წყალქვეშ რაღაც ობიექტი დააფიქსირა, მეთევზეებმა გადაწყვიტეს, რომ თევზების დიდ გუნდს გადააწყდნენ. ამ დროს ბრო-ბუგურმა უკან მიიხედა და პირდაპირ ნავისკენ მცურავი ზვიგენის ზურგის ფარფლი შენიშნა.

– საშინელება იყო. თავდაპირველად, როდესაც ფარფლი დავინახე, კანკალმა ამიტანა, თუმცა ზვიგენი აგრესიული სულაც არ აღმოჩნდა, ის ჩვენი თევზით არც კი დაინტერესებულა, – განაცხადა ბრო-ბუგურმა.

დაახლოებით 130 კილოგრამიანმა ქაშაყის ზვიგენმა ნავს რამდენიმე წრე დაარტყა და რამდენჯერმე გვერდიც გაჰკრა ექვსმეტრიან ნავს, რომელშიც მეთევზეები იმყოფებოდნენ. შემდეგ მან მათ მიმართ ინტერესი დაკარგა და წავიდა.

შეყვარებულებმა მამინაცვლის მოსაკლავად მკვლელი დაიქირავეს

ამერიკის პენსილვანიის შტატში პოლიციამ ახალგაზრდა წყვილს შეკვეთილი მკვლელობის ორგანიზების ბრალდება წაუყენა.

19 წლის დილიან მიკელ ვივერა და მისი 16 წლის შეყვარებული ანჯელინა გრეის პელუზო გოგონას მამინაცვლის ჰოვარდ ბლექბერნის მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს. პოლიციის ოქმის თანახმად, შეყვარებულებმა მკვლელი დაიქირავეს, ვინაიდან ისინი მამინაცვალის რეაქციამ გააცოფა, რომელიც მათ ლოგინში მწოლიარეებს დაადგა თავს.

ვივერას და პელუზოს პირველი ხარისხის მკვლელობისკენ წაქეზებაში, ასევე შეთქმულებასა და კავშირგაბმულობის მოწყობილობების დანაშაულებრივი მიზნებისთვის გამოყენებაში დასდეს ბრალი. შეყვარებულებმა დანაშაული აღიარეს. ისინი საოლქო ციხეში მოათავსეს მათთვის განაჩენის გამოტანამდე.

ვივერამ და პელუზომ განაცხადეს, რომ ბლექბერნი მათ დილით ადრე სანოლში მწოლიარეებს დაადგა თავს და ისინი ამან გააცოფა. როდესაც ვივერა წავიდა, მამინაცვალმა გოგონას სილა გააწნა. შურის საძიებლად გოგონამ შეყვარებულს დაურეკა და უთხრა, რომ თითქოს მამინაცვალი მასზე სექსუალურ ზეწოლას ახორციელებდა. მოგვიანებით პელუზომ პოლიციელების წინაშე აღიარა, რომ იცრუა.

შურისძიებას მოწყურებულმა ვივერამ თავის ნაცნობს დაქირავებულ მკვლელთან დასაკავშირებლად ტელეფონის ნომერი სთხოვა და შემდეგ დაუკავშირდა კიდეც. თუმცა მან შეკვეთის შესრულებაზე უარი განაცხადა და შეყვარებულების გეგმის თაობაზე პოლიცია ჩააყენა საქმის კურსში. საქმის გამოძიება გრძელდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საზოგადოება

ქრისტინე იმედაძე ქართული ბრენდების მაღაზიებმა გააღიზიანა

მომღერალი ქრისტინე იმედაძე ქართული ფეიქ ბრენდების მაღაზიებმა გააღიზიანა.

– ქართული ფეიქ ბრენდების მაღაზიების მფლობელების ადგილას ცოტა დავფიქრდებოდი ან პროდუქტის ჩანაცვლებაზე, ან მიმწოდებლის. ჯერ ისე რას ჰგავს ცნობილი ბრენდების ლოგოებით მოჭედილი გინდა სამოსი, გინდა აქსესუარები, მერე მაგის პატენტი და ზემოდან კიდე ჩინეთის ეკონომიკის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, აი ამ ვითარების დროს, როცა მსოფლიო დააქცია!

ან ის პირბადე ვის რად უნდა, მაგათი მოპონჭილი გუჩები. დაცვით ეგ არ იცავს, ბოდიში გემოვნების დაწუნებისთვის, ვისაც გულზე მოხვდა.

და თუ ასეთი ძლიერი აწყობილი ბიზნესი გაქვთ, რომ ამ თქვენს გაჭირვება თავზე დამტყდარ ქვეყანაშიც ასე კარგად ამუშავებთ თქვენს მაღაზიებს, უამრავი არაჩვეულებრივი ქართველი დიზაინერი გვყავს, რომელსაც შეგიძლიათ შეკვეთაც მისცეთ, თქვენც იხეიროთ, ქართულ ნაწარმსაც გვერდში დაუდგეთ და იმ საქმეშიც პატარა წვლილი შეიტანოთ, რომ ჩინეთი ისე აღარ ჩინეთობდეს, როგორც აქამდე!

ეს ბოლო საკითხი მთელმა მსოფლიომ კი უნდა დააყენოს დღის წესრიგში. ამის დროც, მჯერა, რომ მოვა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ცირკის მომთვინიერებელთა გრძელი შოლტი; 2. დაბალი რანგის დიპლომატი; 3. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო გაზიანი სასმელი; 4. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 11. ფრანგული საიუველირო ფირმა; 12. ლატვიის ფეხბურთელთა გუნდი; 14. ტროპიკული, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური, ბოჭკოვანი მცენარე; 16. ხმელთაშუა ზღვისპირა საკურორტო ზონა იტალიასა და საფრანგეთში; 17. უძველესი ქართული სამეფო; 19. ლითონის დაშლა ქიმიური პროცესების შედეგად; 21. ფრანგი კომპოზიტორი, ოპერა „დონ-კიხოტის“ მუსიკის ავტორი; 22. დაბალი, გრძელტანიანი მონადირე ძაღლის ჯიში.

თარაზულად: 6. წყლის ტრამვაი ვენეციაში; 7. რაიმე რიცხვის მეათასედი ნაწილი; 8. მინერალური წყალი იმერეთში; 9. მრავალწახნაგა გეომეტრიული ფიგურა; 10. ცხენებშებმული ტრამვაი; 13. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 15. ცნობილი ამერიკელი ჯაზმენი; 18. შოტლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 20. აეროპორტი პარიზში; 21. ძრავიანი ველოსიპედი; 23. წალკის ძველი სახელწოდება; 24. სათამაშო კოჭის ერთ-ერთი მხარე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჰიპოლოგია; 2. მორთული; 3. ფიკუსი; 4. კრიჟი; 5. ალიევი; 11. ხუცესი; 12. დალაქი; 14. მწდე; 16. ორაგული; 17. თარხანი; 19. ლექსიკა; 21. თქორი; 22. ლაკმე.

თარაზულად: 6. სილიკოზი; 7. გურიელი; 8. ჟოკეი; 9. ალათაუ; 10. სესხი; 13. რიტმი; 15. როტვეილერი; 18. წირქოლი; 20. არვე; 21. თუნუქი; 23. დისლოკაცია; 24. ნადური.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სოჭი; 2. ობი; 3. დეფინიცია; 4. ასაჰი; 5. პალანგა; 8. პუფი; 9. რონალდუ; 10. ჰარისონი; 12. თმოგვი; 13. შაირი; 15. სმოგი.

თარაზულად: 1. სორენტო; 6. დეპრესია; 7. ჭუპრი; 10. ჰაიტი; 11. ოფურო; 13. შრატი; 14. ბასრა; 16. გეთი; 17. აპოკოპე; 18. ოსტიტი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

30 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.2032

ევრო — 3.4748

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.9768

100 რუსული რუბლი — 4.3469

ამინდის პროგნოზი 30 აპრილისთვის

აჩიკო გოგიტიძე კორონავირუსისგან განიკურნა



ოპერის მომღერალი აჩიკო გოგიტიძე კორონავირუსისგან განიკურნა. ბათუმის ოპერის თეატრის მომღერალი, რომელიც ამერიკიდან საქართველოში ჩამოვიდა და მხოლოდ მისი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ჩაუტარდა ტესტირება, მკურნალობას ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გადიოდა:

– მორჩა კინო! ორდღიანი ტესტირების შედეგად სრულიად ჯანმრთელი ვარ! მშვიდობით კორონა! შენ ძალიან ღირსეულად მესტუმრე და დამემშვიდობე!

წავიდა ოსკარის სამადლობელი: მადლობა ღმერთს! მადლობა მშობლებს, რომ ჯანმრთელი გამაჩინეს და მადლობა ჩვენს ექიმებს!

ლიზა ბათიაშვილმა ორკესტრთან დისტანციურად დაუკრა

ქართველმა მევიოლინემ, ლიზა ბათიაშვილმა, ორკესტრთან ერთად ანტონინ დვორჟაკის მეცხრე სიმფონიის ნაწყვეტი დისტანციურად შეასრულა.

მუსიკოსს საყვარელ საქმეზე უარი ვერც საგანგებო მდგომარეობამ და საყოველთაო იზოლაციამ ათქმევინა.

ლიზა ბათიაშვილმა ორკესტრთან ერთად შესრულებული ჩანაწერი ინტერნეტში გაავრცელა და კლასიკური მუსიკის მოყვარულებს უდიდესი სიამოვნება მიანიჭა.

ირაკლი კვირიკაძე საავადმყოფოდან გაწერეს



80 წლის ქართველი რეჟისორი ირაკლი კვირიკაძე კორონავირუსით დაავადდა და საავადმყოფოში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

დიაბეტით დაავადებულმა ხელოვანმა შეძლო გამოჯანმრთელება და ახლა სახლში ოჯახის წევრების გარემოცვაში იმყოფება.

როგორც მისმა ახლობლებმა განაცხადეს, ირაკლი კვირიკაძე თავს უკეთესად გრძნობს.

ალეკო მახარობლიშვილი 65 წლისაა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ალეკო მახარობლიშვილი იუბილარია. მას 65 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღს ხელოვანი მოკრძალებულად შეხვდა. ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გამო, მან დაბადების დღე მხოლოდ უახლოესი ადამიანების გარემოცვაში აღნიშნა.

ალეკო მახარობლიშვილის თეატრალური როლები მაყურებლისთვის კარგად არის ცნობილი, თუმცა ფართო საზოგადოებამ იგი სხვადასხვა ქართული ტელესერიალებიდან გაიცნო და შეიყვარა.

ალეკო მახარობლიშვილის მიერ შესრულებული თეატრალური თუ კინოროლები მაყურებელს ძალიან უყვარს, მაგრამ თემურ ჩხეიძის სპექტაკლში „არტ ხელოვნება“ ნათამაშევი ვანიკოს როლი მაინც გამორჩეულია.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

30 აპრილისთვის

ვერძი – საოჯახო პრობლემები სრულად ჩაგითრევთ. აკონტროლეთ შემოსავალ-გასავალი. გამოიყენეთ მეგობრების გამოცდილება. **კურო** – მიენდეთ ახლობლებს. ეცადეთ, მოსალოდნელი კონფლიქტი თავიდან აიცილოთ. ჯანმრთელობაზე იზრუნეთ. **ტყუპები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. თუ ქალაქგარეთ გასვლა მოგიხდათ, სიფრთხილე გამოიჩინეთ. **კირჩხიბი** – გუნება-განწყობა გეცვლებათ. აქტიურობთ, თუმცა შინაგანად დაძაბული ხართ. **ლომი** – ზედმეტი მიამიტობა შეცდომების დაშვების მიზეზად იქცევა. ყურადღებით იყავით საქმიან პარტნიორებთან ურთიერთობისას. **ქალწული** – საკუთარ თავში დარწმუნებული ხართ, მაგრამ ეს არ გაძლევთ იმის საფუძველს, რომ თქვენი შესაძლებლობები გადაჭარბებულად შეაფასოთ. **სასწორი** – წინააღმდეგობები შეგხვდებათ. გარშემომყოფებთან დაძაბული ურთიერთობა გექმნებათ. **ღრიანკალი** – იღბლიანი დღეა. დაწყებულ საქმეს წარმატებით დაამთავრებთ. პირად ცხოვრებაშიც გიმართლებთ. **მშვილდოსანი** – ყურადღების ცენტრში ხართ. ყოველმხრივ კეთილისმყოფელი დღეა. ზომიერება დაიცავით. **თხის რქა** – გეგმების განხორციელებაში ხელი არ გეშლებათ. მოსალოდნელია აზრთა სხვადასხვაობა ხელმძღვანელ პირებთან. **მერწყული** – მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მისაღებად მშვენიერი პერიოდია. მოვლენების დაჩქარება სასურველი არ არის. **თევზები** – სიტუაციაში გარკვევა გიჭირთ. ოდნავ დაბნეული ხართ. საღამოს რომანტიკული შეხვედრაა მოსალოდნელი.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– დღეს, სახლიდან გასულს, ნიღბის გაკეთება დამავიწყდა...

– მერე?

– მერე, თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს ტრუსიკის ჩაცმა დამავიწყდა...

●●●

მამა შვილს არიგებს:

– თუ ვინმე გჩაგრავს, გამცირებს, შეურაცხყოფას გაყენებს, აიღე ნიჩაბი და სიფათში ჩასცხე!

– კი მაგრამ, მამიკო, მე ხომ გოგო ვარ!

– არა უშავს, შეგიძლია, ვარდისფერი გამოიყენო.

●●●

რუსს ეკითხებიან:

– ყველაზე კარგად ვინ იცავს მოსკოვში თვითიზოლაციის რეჟიმს?

– ლენინი მავზოლეუმში.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– იცოდე, კიდევ ერთხელ დამცინებ ჩემი ფიგურის გამო და ტაფა მოგხვდება შუბლში! გაიგე?

– გავიგე.

– რა გაიგე?

– ის, რომ შენი ზედმეტი წონა რეალურად საფრთხეში მაგდებს!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კრისტიანო რონალდუ იტალიაში დაბრუნებას ჯერ არ აპირებს

პორტუგალიელი ვარსკვლავი კრისტიანო რონალდუ კვლავინდებურად სამშობლოში იმყოფება და ჯერჯერობით იტალიაში დაბრუნებას არ აპირებს, რადგან თვლის, რომ ეს უსაფრთხო არ არის.

იტალიის მთავრობამ ფეხბურთელებს ნება დართო, 4 მაისიდან ვარჯიში განაახლონ, თუმცა გუნდების უმრავლესობა ამის გაკეთებას მაისის შუა რიცხვებამდე არ აპირებს. რონალდუც რამდენიმე კვირაში აპირებს იტალიაში ჩასვლას, თუ მანამდე რამე არ შეიცვალა. ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის განახლდება იტალიის ჩემპიონატი.

მარადონამ რონალდინიო დაიცვა

ლეგენდარულმა არგენტინელმა ფეხბურთელმა დიეგო მარადონამ რონალდინიოზე ისაუბრა და თქვა, რომ ის კარგი ადამიანია და არ იმსახურებდა ციხეში ყოფნას.

მარადონას აზრით, შეცდომას ჰქონდა ადგილი:

– არ ვიცი, ზუსტად რა მოხდა, მაგრამ მჯერა, რომ რონალდინიო დამნაშავე არ არის და ის ციხეში არ ჩაჯდება. რონალდინიო დიდებული ფეხბურთელი იყო და ის ჩემი მეგობარია. მასზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია.

რონალდინიომ ერთი თვე პარაგვაის ციხეში გაატარა, რის შემდეგაც ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

სამუელ ეტოო: „მესიმ მითხრა, რომ ჩემი რჩევები მას ძალიან დაეხმარა“

სამუელ ეტოომ ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც ბარსელონაში მესისთან ერთად თამაშობდა და თქვა, რომ მესის მან რამდენიმე რჩევა მისცა, რის შემდეგაც ლეო უკეთესი ფეხბურთელი გახდა:

– უკვე მაშინ ლეო გენიალური იყო, მაგრამ მას სჭირდებოდა პროგრესი და რამდენიმე რჩევა მივეცი, რის შემდეგაც მან აშკარად მოუმატა. თვითონ ლეომ მითხრა, რომ მას ჩემი რჩევები დაეხმარა. მესი საერთოდ არ შეცვლილა და ის ისევ ისეთი კარგი ადამიანია, როგორიც იყო, როდესაც გავიცანი.

პოგბა, შესაძლოა, იუვენტუსში დაბრუნდეს

მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგი ნახევარმცველი პოლ პოგბა, შესაძლოა, ზაფხულში იუვენტუსში დაბრუნდეს, რადგან მისი რეალში ტრანსფერი ნაკლებად სავარაუდოა. ასევე თითქმის გადაწყვეტილია, რომ პოგბა მანჩესტერ იუნაიტედში არ დარჩება და ზაფხულში სხვა გუნდში გააგრძელებს კარიერას.

ამის შესახებ თვითონ პოგბამაც ისაუბრა, თუმცა მას კონკრეტულად გუნდი არ დაუსახელებია.

იუვენტუსში პოლ პოგბა 2016 წლამდე თამაშობდა და სწორედ ამის შემდეგ გადავიდა ის მანჩესტერში.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ხელოვნების სასახლეს სახელწოდება შეეცვალა



საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს სახელწოდება შეეცვალა და ოფიციალურად ეწოდა საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი.

ინფორმაცია ხელოვნების სასახლის დირექტორმა გიორგი კალანდიამ გაავრცელა:

„საქართველოს მთავრობის 224 დადგენილებით, ჩვენს მუზეუმს ნაცვლად „საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისა“ ოფიციალურად ეწოდა: „საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმი“.

პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდა. მუზეუმმა მიიღო ის წოდება, რომელიც მას ეკუთვნოდა, რომელიც კარგად ასახავს საგანძურში და დარბაზებში დაცული კოლექციების მნიშვნელობას, არ ზღუდავს პროფესიული მოქმედების არეალს და უფრო სწორად გადმოსცემს მის პროფილს! რადგან აქ წარმოდგენილია არა მარტო ქართული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის, არამედ ქართული ქსოვილის, მოდის, დიზაინის, ეთნოგრაფიის, გამოყენებითი და ხალხური ხელოვნების, ცირკის, ფოტოგრაფიის, ერთი სიტყვით, მთელი ჩვენი კულტურის ისტორია!

უზომოდ გახარებული ვარ, რადგან ამ დასახელებაში მთლიანად მოექცა როგორც ჩვენი მუზეუმის პროფილი, ისე დაცული ექსპონატების შინაარსი, პერიოდი, მნიშვნელობა. დასახელებაში ასევე აისახა მუზეუმის კუთვნილი შენობის, ბრწყინვალე არქიტექტურული ძეგლის მნიშვნელობაც.

კულტურის ისტორიის მუზეუმი მსოფლიოში არაერთია, მათ შორის დავასახელებ: გერმანიის, ნორვეგიის, ხორვატიის და იაპონიის იგივე დასახელებების მუზეუმს!

დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენს სამინისტროს და საქართველოს მთავრობას, რომელმაც მოისმინა, სწორად გაიგო და გაიზიარა ჩვენი არგუმენტები. დიდი მადლობა კი მინდა ვუთხრა ასევე ჩვენს ოპონენტებს, რომლებიც სულ ცდილობდნენ ჩვენს შეზღუდვას, ჩვენს ვიწრო პროფილურ მუზეუმად წარმოჩენას და, აქედან გამომდინარე, მოქმედების არეალის შეზღუდვას, რომ არა მათი მუდმივი ოპონირება, ეს პროცესი ამ ლოგიკურ დასასრულამდე გვიან მივიდოდა.

ასე რომ, დღეიდან საქართველოში ახალ სიცოცხლეს იწყებს საკმაოდ ძველი და მდიდარი – კულტურის ისტორიის მუზეუმი! მუზეუმი, რომელიც თავიდანვე დიდი მასშტაბებისათვის იყო ჩაფიქრებული. დამაარსებელმა დავით არსენიშვილმა იგი თავიდან სასტუმროს ნახევარსარდაფში სათეატრო მუზეუმად დააფუძნა, შემდეგ იყო: მუსიკა, ქორეოგრაფია, კინო, ამას დაემატა საკრავები, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნება, დღეს კი მსოფლიო მნიშვნელობისა და სტანდარტის კულტურის ისტორიის მუზეუმად ჩამოყალიბდა!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოიდი ა



შვეულად: 1. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 2. ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 3. ფულის ერთეული ისრაელში; 4. ტროპიკული ხილი; 5. მსუბუქი ტრფიალი, არშიყობა; 11. მთიბავთა სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 12. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ-სიტის“ ფეხბურთელი; 14. დემონი არაბულ ფოლკლორში; 16. ატომგულის შემადგენელი დადებითად დამუხტული ელემენტარული ნაწილაკი; 17. ქალაქი იმერეთში; 19. ძლიერფეთქებადი ნივთიერება; 21. ვაშლის ღვინო; 22. პურეული მცენარე.

თარაზულად: 6. ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტანი; 7. დაქანებული მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 8. იტალიელი მწერალი, დრამატურგი, კინოსცენარისტი; 9. სამხედრო პოლიგონი საქართველოში; 10. ყველაზე ნელი მუსიკალური ტემპი; 13. ამერიკელ ზანგთა სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. ამერიკელ ზანგთა სასულიერო ჰიმნი; 18. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 20. მუსლიმთა წმინდა ქალაქი ირანში; 21. იაპონური ციფრულ-ლოგიკური გასართობი თავსატეხი; 23. სისხლის წნევის აწევა; 24. ოპტიკურ-კვანტური გენერატორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა